# სახალხო გაზეთი

№ 636 ხუთშაბათი, 28 ივნისი, 1912 წ. № 636

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება მარტო თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. შეიძლება მოლაპარაკება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29.

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



## მისამართის გამოცვლა:

ტფილისისა ტფილისს გარეთისაზე ღირს . . . 40 კაპ. შეიძლება
და ქალაქ გარეთისა ქალაქ გარეთისაზევე ღირს . . . მარკებით.
ტფილისს გარეთისა ტფილისისაზე . . . . . უფასოდ.
და ეხლანდელი მისამართი ძველ მისამართზე . . . . .

ხელის მომწერმა, რომელიც მისამართს იცვლის, უნდა შეგვატყობინოს დაწვრილებითი მისამართი, როგორც ძველი (ქალაქ გარეთელთ შეუძლიათ გაზეთის ბანდეროლი გამოგზავნონ) ის ეახლი.

„სახალხო გაზეთი“-ს კანტორა.

## სახალხო გაზეთი
### სურათებიანი დამატებით
მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წლიური ხელის მომწერნი იღებენ პრემიად I წ. „ზრდელს“.

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.
თვეში ღირს — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ).
საზღვარ-გარეთ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ 8 მ. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მან., მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს 1-ლ ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა ფოსტის მარკა.

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.


ოქროპირ ზურაბის ძე აბდუშელიშვილი, ნინა გიორგის ასული წერეთლისა, ვერა და მიშა გიორგის ასული და ძე კურცხალიები, მართა კაციას ასული აბდუშელიშვილისა. ვერა კონსტანტინეს ასული და ლევან ზურაბის ძე აბდუშელიშვილები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ—პირველი მეუღლის; მეორე, მესამე და მეოთხე—დის, ხოლო დანარჩენნი—რძლის

**გაიო ! გაბილინა ! გიორგის ასულის**
**აბდუშელიშვილის**

უდროვოდ გარდაცვალებას ს. ბჟინევში, 25 ამ თვეს, ღამის 3 საათზე. დაკრძალვა საგვარეულო ითხვისის ეკლესიის გალავანში, შაბათს, 30 ივნისს.

(1—534—1)


## ტფილისის კერძო სამკურნალო
ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვერცხლის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო.
ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

- ლამბაშიძე ვ. დ. (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ.
- დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.
- ქიქოძე ტ. ს. (ორშაბათს და ოთხშაბ.) 9—10.
- მალალაშვილი გ. გ. (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
- მანსვეტაშვილი ვ. მ. (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
- მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
- ფედოროვი ე. გ. (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

- მარკოვიჩი ვ. ლ. კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½.
- მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
- ფირალოვი რ. ბ. (ყოველ დღე) 12—1.

- ექიმი-ქალი ვერბიცკი-ფირალოვისა ლ. (ყოველ დღე) 11—12.
- მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
- ხულაკოვი ა. ი. (ყოველ დღე) 12—1.
- თიკანაძე ი. ე. (ყოველ დღე) 1—2.

- ლამბაშიძე ვ. დ. (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 12½—1½ ს.
- მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
- ფედოროვი ე. გ. (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

- გედევანიშვილი მ. ა. (შაბათობით) 10½—11.
- დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.

- ათენიანცი ნ. ა. (ყოველ დღე) 1—2.
- ორემბოვსკი ნ. ს. (ყოველ დღე) 2½—3.

- მუსხელიშვილი ვ. ს. (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.

- მზარეულიშვილი მ. ი. (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა მელავათიანი საფასურით. (წ. 1010.57)

**ექიმი ვ. მუსხელიშვილი** მიიღებს თვალის ავადმყოფ. ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

**ექიმი ქალი კბილისა ნინო რცხილაძე** 20 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს ქ. თელავში 9—3 საათამდე.

**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო მიხ. გედევანიშვილისა** ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. (წ.—1022—48)

ივნისის 29-ს—სამტრედიაში, 30-ს ნაოლალევში და 1 ივლისს—ზუგდიდში

## აკაკი ფაღავა
წაიკითხავს ლექციას:

**„თამარ მეფე და ვეფხის ტყაოსანი.“**

(თამარ მეფის ეპოქა და „ვეფხის-ტყაოსანი“ როგორც ამ ეპოქის საქართველოს კულტურულ მდგომარეობის გამომხატველი ნაწარმოები).

დაწვრილებით აფიშებში. (5.1355 2)

## ახალი კლუბი
(საზაფხულო ბაღი)
ხუთშაბათს, 28 ივნისს,

### საგაზეთო საღამო
სხვა და სხვა საყმაწვილო სათამაშოები, სინემატოგრაფი და კონცერტი სიმფონიური ორკესტრისა. დასაწყისი საღამოს 5½ ს. დასასრული საღამოს 10 საათზე, სტუმრების ყმაწვილებს გადახდებათ—15 კაპ.

**ანონსი:** პარასკევს ჩვეულებრივად სინემატოგრაფი. (1.1357.1)

ამა წლის პირველ ივლისში ქ. ქუთაისში გამოვა
ყოვ.-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო ქართული გაზეთი

## ჩვენი ცხოვრება

| | | |
|---|---|---|
| გაზეთი წლიურად ღირს 7 მ. | თვიურად ქუთაისში . . | 80 კ. |
| ნახევარის წლით „ 4 „ | ქუთაისს გარედ . . | 90 „ |
| სამი თვით . . . „ 2 „ 50 კ. | საზღვარ-გარედ . . | 14 მ. |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—სამი შაური, უკანასკნელზე—ორი შაური. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—სამი მანეთი.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ხულაძველიძე.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Кутаисъ Юстину Гавріиловичу Баланчивадзе.
ფული მიიღება მხოლოდ ბალანჩივაძის სახელზე.
რედაქც. ადრესი: ქუთ. ალექსანდრეს ქუჩა, თედორაძის სახლი № 6. (5.1270.1)

Adresse Télégraphique SANITAS

КАВКАЗСКОЕ ТОВАРИЩЕСТВО ТОРГОВЛИ АПТЕКАРСКИМИ ТОВАРАМИ
ТИФЛИСЪ. БАКУ. БАТУМЪ.

Адресъ телеграммъ: САНИТАСЪ Тифлисъ

ფეხის ალაგების **„სანიტორი“** საუკეთესო ავტომატიური დეზინფექტორი და ჰაერის გამწმენდი.

(2—1356—2)

## ტფილისის სახაზინო პალატა
ქალაქის უძრავ ქონებათა სახელმწიფო გადასახადის გადამხდელებს აუწყებს, რომ ფულის პირველი-ნახევრის გადახდის ვადა თავდება დამდეგ ივლისის პირველსა. ამ ვადის შემდეგ, 1910 წლის 6 ივნისის დებულების 52 მუხლის თანახმად, გადასახადის ნახევარი „ნედოიმკად“ გადაიქცევა და იმავე დებულების 54—60 მუხლთა თანახმად გადაჰხდებათ ძალით. ამას მიემატება ჯარიმა, ხსენებულ ვადიდან თვეში 1%. ფული უნდა შეიტანონ ადგილობრივ ხაზინაში „საოკლადო“ ფურცლისა, ან ფულის გადახდის განცხადებითურთ. (3—1354—3)

## საბურთალოზე
მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ საჟენი 80 კ.-დან.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1147 325)

დოქტორი მედიცინისა
## ი. ე. თიკანაძე
სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების. სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩინაძისა. ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1 82. (თ. 1037 197)

**ექიმი ზ. ა. მიქელაძე** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 1

## სამკურნალო
სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დი. ქ.-ზე, № 3, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

- **ასპისოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.
- **მღებრიშვილი**—შინაგ., ბავშვ.—ორშაბ. ოთხშ., პარასკ., კვირაობით 4—5 ს.
- **გრეიცი**—თვალ. ავადმყ., ყ.-დღე 12-1 ს.
- **არგუთინსკი**, შინაგ., ბავშვ. ყ.-დ. 10 ს 1½ ს.
- **მონსე.** ბავშ. და შინაგ. ავად. ორშ., ოთხ პარასკ. 2—3 საათ.
- **ნოვიცკი.** ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს.
- **კალამკაროვი.** ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 სათ.
- **უკლადნიკოვი.** შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.
- **თეხრაძე.** სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ. 1—3 ს.
- **ჩუდნოვსკი ი.** ნერვ., სულ., ელექტროთერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა 11½—1 ს.
- **რუდენკო.** შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.
- **ვესელოვზოროვი** ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.
- **ერმოლაევი**—ბავშვ., შინაგან.—ყ. დღ. 1-2 ს.
- **ტერ-ნერსესოვი.** ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. 1—1½ ს.
- **იოსელიანისა** ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ., კვირ. 11—12 საათ.
- **ბესსერი** შინაგ., ნევრ.-ავადმ. — სამშ., ხუთშ., შაბ. კვ. 2—3 ს.
- **ბაგდოევისა**, კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.
- **ლიმონი.** კბილ. ყ.-დღ. 10—11 ს.
- **გურგენიძე** შინაგ., სამშ., ხუთშ. 4—5 ს.

**კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-ს საღამოს 5—7 საათამდე.**

კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. აკად. პროფ. მ. ს. სუბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინადაწინვე ჩაწერით. (თ—1234.21)

## შპალიერი
### მმ. ტარნოპოლთა
ქარხნისა.
ტფილისის განყოფილება.

იმყოფება გოლოვინის პროსპ., № 21, სახ. არტისტ. საზ., ტელეფ. № 355. საწყობში ყოველთვის ბლომად არის შპალიერი, რომელიც საქარხნო ფასებში იყიდება, თოფი 8 კაპ.-დან 6 მან.-დე. ქარხანას აქვს საწყობები რუსეთის იმპერიის ყველა დიდ ქალაქებში. შპალიერის ნიმუშები იგზავნება უფასოდ. (50.159.27)

## ჭიათურის
საქალებო პროგიმნაზიისთვის საჭიროა გამგე და რუსული ენის

### მასწავლებელი.
თხოვნები მიიღება ამ პროგიმნაზიის სახელზე 15 მარიობისთვემდე. (3.1353.2)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

- **ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს.
- **ა. ნ. დიასამიძე** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.
- **ბ. ა. ძოპოვი** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 ½.
- **შ. ა. მიქელაძე** შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.
- **ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

**წამლობა „606“-ით.**

(წლ—1018—297).

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ვასსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედ. ქ., № 94, საფოსტო განყოფი. პირდ. (25—1178—68)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულ. ავადმყოფ. დილის 9—3 საათ., საღამოს 7 ს., ბაქოს ქუჩა, № 12.

**ექიმი კბილისა აბასთუმანში ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერმარქაროვისა. (0—1334—12)

**ექიმი აბასთუმანში ე. ი. მინასიანცი** იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერმარქაროვისა. (წ. 1347.192)

**ექიმი ივ. გომართელი** მიიღებს ავადმყოფთ დაბა ბორჯომში პირველ თიბათვიდან—პირველ ენკენისთვემდი. (25.468.26)

**ექიმი კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ქაჯაია** იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—1 3)

**ექიმი პ. არდაზიანი** შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმიქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. (25.1045.138


## ნარკვევი
(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„ნოვოე ვრემია“-ს, როგორც „კავკაზს“ ატყობინებენ პეტერბურგიდან, მოუთავსებია წერილი შემდეგის სათაურით: „კათალიკოსი და სომხები“. ამ წერილის შინაარსს „კავკაზ“-ის კორესპონდენტი ამნაირად გადმოგვცემს:

„გევორკ V სიტყვები,—ამბობს გაზეთი,—რომ სომეხთა ნორმალური ეროვნული განვითარება შესაძლებელია მხოლოდ რუსეთის ძლიერ სახელმწიფოს ფარგლებში, კათალიკოსის ამ სიტყვებს ფრიად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვთ, რადგანაც კათალიკოსი სომხის ხალხის თეოკრატიული წარმომადგენელია. თუ სომეხთა განვითარებისთვის რუსეთის სიძლიერე საჭიროდ მიაჩნია კათალიკოსს, მაშასადამე, ასე ჰფიქრობს თვით სომხის ხალხიც... ავტონომიური სომხეთი ამასთანავე ერთად იქნებოდა ავტონომია მუსულმანური. ამიტომაც მოხდა, რომ მოძრაობის დროს, როდესაც ყველა ავტონომიაზე ყვიროდა, სომხების წარმომადგენლები ამბობდნენ, ჩვენ ავტონომია არ გვინდაო. გაზეთის აზრით, რუსეთში სომხების საკითხი არ არსებობს“.

## ახალი ამბავი
### ტფილისი

✦ **სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების გამო.** ტფ. გუბერნატორმა მაზრის უფროსებსა და ქალაქის მოურავებს საარჩევნო სიების შედგენის ინსტრუქცია და წინადადება მისცა, დაუყოვნებლივ შეუდგნენ იმ პირთა სიების შედგენას, რომელთაც უფლება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ სათათბიროს მომავალ არჩევნებში. სიები გამოქვეყნებულ უნდა იქმნეს 8 აგვისტომდე.

✦ **სახელმწიფო სათათბიროს ამომრჩეველთა სიის შედგენის გამო.** პეტერბურგის რუსთა კურიის ცნობილმა მოღვაწემ ვ. ვ. კაზარინოვმა წერილობით სთხოვა ტფ. ქალაქის გამგეობას, შეიტანოს იგიც მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს ამომრჩეველთა სიაში ტფ. რუსთა კურიიდან. ბ-ნ კაზარინოვს ცენზი ჰქონია როგორც ტფილისში, ისე პეტერბურგში.

✦ **„სასანიტარო რვეულები“.** თანახმად სასანიტარო დადგენილებისა, ქალაქის გამგეობა მოკლე ხანში დაავალებს ტფ. ყველა სახლის პატრონს, შეიძინოს ეგრედ წოდებული სასანიტარო რვეულები, სადაც ქალაქის სანიტარები შეიტანენ თავის შენიშვნებს სასანიტარო დადგენილებათა დარღვევის შესახებ.

✦ **კავკასიის ნამესტნიკის მოადგილემ** არ შეიწყნარა ტფილისის საბირჟო კომიტეტის შუამდგომლობა, რომ ჯულფაში განსაკუთრებული ნოტარიუსი დაინიშნოს, რადგან როგორც შემოწმების შემდეგ აღმოჩენილა საქმე სრულიად არ ყოფილა იმდენი რამდენიც საჭიროა ნოტარიუსის დანიშვნისათვის.

✦ **ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ გამგეობამ** ტფილისის საფოსტო-სატელეგრაფო ოლქის უფროსს ნება დართო, სოლოლაკში საფოსტო განყოფილება გახსნას. ოლქის უფროსმა წინადადება მისცა ფოსტისათვის ბინა დაიქირავონ პუშკინის ქუჩაზე მანთაშევის სახლში, № 7.

✦ **ტელეგრაფისა და ტელეფონის** შენობის აგება უკვე დასრულდა. ახალ შენობის კურთხევა 1 ივლისისთვის არის განზრახული.

✦ **ტფ. გუბერნატორი ა. გ. ჩერნიავსკი** სამსახურის საქმეთა გამო ბორჩალოს მაზრას გაემგზავრა.

✦ **ოლღას საბებიო ინსტიტუტის** დირექტორი ა. რ. ფიშერი სამსახურს თავს ანებებს. მის ადგილას, როგორც ამბობენ, ექიმი ე. მ. სოზესტიანსკი დაინიშნება.

✦ **საქალაქო ბაღი ხარფუხში.** დღეს, საბოლოოდ შეაფასებენ სასულიერო უწყების მიწას, რომელსაც ქალაქი ბაღის გასაშენებლად ყიდულობს.

✦ **წვრილ კრედიტის** ინსპექტორი ბ-ნი ნავრატილი ტფილისში დაბრუნდა გორის მაზრის სოფელ მეტეხიდან, სადაც მან წვრილ კრედიტის ამხანაგობა დააარსა.

✦ **საელექტრონო სადგური.** ტფილისიდან გორს გაემგზავრნენ ინჟენრები და ამხანაგობის „შუკკერტის“ წარმომადგენელნი. მათ წასვლას კავშირი აქვს გორში საელექტრონო სადგურის მოწყობის საკითხთან.

✦ **საფსიხიატრო საავადმყოფო.** გუშინ ქალაქის გამგეობა წერილობით შეეკითხა კავკასიის ქალაქების თვითმმართველობებს და მის მსგავს დაწესებულებებს, მიიღებენ თუ არა მონაწილეობას ქალაქის მომავალ საფსიხიატრო საავადმყოფოს შენახვაში, რასაც ყოველ წლივ 90,000 მან. დასჭირდება. მონაწილეობა უნდა მიიღონ იმით, რომ შეიძინონ საავადმყოფოში საწოლები, თვითეული საწოლი 400 მან. ფასი წელიწადში. საა-

ვადმყოფოს შენობის აგება და მოწყობა 300,000 მანეთად დაჯდება და იმ ხარჯს ერთიანად ტფ. ქალაქის თვითმართველობა კისრულობს. თუ აღმოჩნდა, რომ არიან მსურველნი მომავალ საავადმყოფოში 160 საწოლის შეწყობისა, მაინც მაშინ ქალაქის გამგეობა საავადმყოფოს აგების თადარიგს შეუდგება.

✦ ამ დღეებში მოსკოვიდან კავკასიაში გამოემგზავრა ცნობილი ექიმისა და პედაგოგის, პიროგოვის სახელობის საზოგადოებასთან არსებულ **დამპალ ციებასთან მებრძოლი კომისია**. კომისიას მატერიალური დახმარება კავკასიის ნამესტნიკმა აღუთქვა. კომისია შემოივლის ციებცხელებით ცნობილ ადგილებს, ადგილობრივ გამოკვლევას მოახდენს და შემდეგ აქაურ ექიმებისათვის ტფილისში გამართავს კურსებს, დამპალ-ციებასთან ბრძოლის საკითხის შესასწავლად.

✦ **უბედური შემთხვევა.** გუშინ, გათენებისას, „კავკაზის“ სასტუმროს ეზოში მეეზოვემ შენიშნა ნაცემი, მარჯვენა ხელ-მოტეხილი მოსწავლე ტფ. კადეტთა კორპუსის მეშვიდე კლასისა გიორგი ნიკოლოზის ძე ფლეგანსკი, 17 წლისა. მეეზოვემ პოლიციას აცნობა. გამოწვეულ იქმნა ჩქარის დახმარების ეტლი. ყმაწვილმა ყოველ კითხვაზე გადაჭრით უარი სთქვა. იგი წაიყვანეს მიხეილის საავადმყოფოში, სადაც გუშინვე გარდაიცვალა. პოლიციამ ჯერჯერობით მხოლოდ შემდეგი გამოარკვია: წინა ღამით, 26 ივნისს, საღამოს 10 საათზე, „კავკაზის“ მესამე სართულში ნომერი დაუქირავთ ფლეგინსკის ამხანაგებს: კადეტებს ბესარიონ ყავრიაშვილს და დიმიტრი სობოლევსკის, რომელთანაც ნომერში ფლეგინსკი ნაშუალამევის ორს საათამდე ყოფილა. ფლეგინსკი კარებიდან არ გამოსულა, ამიტომ ჰფიქრობენ, რომ იგი ფანჯრიდან გადმოხტა.

✦ **ჭაობის ამოშრობა.** საგუბერნიო მთავრობამ 1000 მან. გადასდო სოფ. ხიდისთავის (გორის მაზრა) ჭაობის ამოსაშრობად. ამოშრობის საქმე ინჟენერს ალიხბეგოვს მიენდო.

✦ **გარდაიცვალა** 26 ივნისს ქალაქის თვითმართველობის პენსიონერი, ქალაქის მოურავად ნამყოფის ქვრივი, ლ. იზმაილოვისა. გუშინ ქალაქის გამგეობის თაოსნობით გადახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს ხალხი ბლომად დაესწრო.

✦ **გეოლოგიური საზოგადოება** ტფილისის გუბერნიაში გეოლოგიურ კვლევათა მოსახდენად წელს სამთო ინჟინერს კარკსა ჰგზავნის.

✦ **ტფილისის გუბერნატორმა ა. ს. ღულაძეს** ნება დართო გამოსცეს ტფილისში ყოველდღიური კაპეიკიანი გაზეთი „ტფილისის დილა“ რუსულ ენაზე.

✦ **კავკასიის ქედზე გადასასვლელ რკინის** გზის გამომკვლევ კომისიის თავმჯდომარემ წელს სამუშაოდ ინჟენრები ლესნევსკი და ბეზმენოვი დანიშნა.

✦ **არაქსის მიდამოების გამოკვლევა.** კავკასიაში მიწათმოქმედების და მიწათმოქმედების მთავარი გამგის უფროსისაგან მეუფე ზოოლოგიურ ბოტანიკურ ზოოლოგიურ გამოკვლევათა მოსახდენად მდინარე არაქსის მიდამოებში გაიგზავნა.

### საზოგადოებანი და კრებები.

✦ **ლექტორების კრება.** მომავალ კვირას კრება მოხდება იმ პირებისა, რომელთაც აზრად აქვთ, ლექციები იკითხონ მომავალ შემოდგომას, „საზოგადო კლუბში“.

✦ **საგეოგრაფიო საზოგადოების** კავკასიის განყოფილებამ ი. ვ. პალიბინს დაავალა, შეისწავლოს სოფ. ხარზის მიდამოებში აღმოჩენილი გაქვავებული მცენარეები. მარშან ამ ადგილებიდან დიდი კოლლექცია ჩამოიტანა გაქვავებული ხეებისა, ტბისა და ფითილების კვალისა.

### სასწავლებლებში

✦ **გაეთა მეხუთე გიმნაზიასთან** არსებულმა მშობელთა კომიტეტმა დაადგინა: წელს კურს-დამთავრებულთა ღარიბებს შვიდ მოწაფეს დაენიშნოს ერთდროული დახმარება: ორს—ხუთ-ხუთი და ხუთს ოთხ-ოთხი თუმანი.

### ქუთაისი.

✦ **ქუთაისის საბჭომ** 25 ივნისის სხდომაზე დაადგინა: ნება მიეცეს ქალაქის გამგეობას, აიღოს სესხათ 46,000 მანეთი ქალაქის საავადმყოფოს და საქალაქო სასწავლებლის შენობის დასამთავრებლად; ქალაქის ახალ საავადმყოფოს ეწოდოს სახელად „რომანოვების მეფობის საავადმყოფო“; მიეცეს ქუთაისის ღარიბ მცხოვრებთ 300 მანეთი რომანოვების იუბილეის დღესასწაულის გამო; ქალაქის პირველდაწყებითი სკოლის მოწაფენი განთავისუფლებულ იქნას მომავალი 1912—1913 წ. ნახევარი წლის სწავლის ფულის გადასახადისაგან; განთავისუფლებულ იქნას ღარიბი მცხოვრებნი მამულის ბაჟისაგან, მხოლოდ ეს გადასახადი არ უნდა აღემატოს 3000 მან. ცეცხლისაგან უძრავი მამულების დამზღვევი საზოგადოების ზედამხედველის კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ისევ დავით ბესარიონის ძე მდივანი, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ კი—მიხეილ ჩიჩინაძე; აღძრულ იქნას შუამდგომლობა, რომ დაუბრუნდეს ქალაქს ის ხუთი ათასი მანეთი, რომელიც გადაუხდევინებიათ ქალაქის აფთიაქისათვის, როგორც სამრეწველო გადასახადი; ქალაქის მოურავს ბ-ნ ჩიქოვანს მიეცეს ორი თვის თავისუფლება.

✦ წელს ქუთაისის **ქალთა პროფესიონალურ სასწავლებელში** თეორეტიული და პრაქტიკული სწავლა დაასრულეს პირველ ხარისხის მოწმობით: 9 ქალმა; მეორე ხარისხის მოწმობით კი 17 ქალმა.

✦ 24 ივნისს დღის 12 საათზე, ქესჩეთის ქუჩაზე შეხარხოშებულმა გლეხმა გიორგის ძე ხინგვამ ჩხუბი აუტეხა ივანე ნიქაბაძეს. ჩხუბის დროს შეესწრნენ განსაშველებლად: ხინგვას დედ ეფროსინე, ტრიფონ კვიცარიძე, ანა გიორგაძისა და ივანე სვანიძე. ჩხუბში ივანე ნიქაბაძემ ჯოხით თავში გაუტეხა ეფროსინე ხინგვასას, იმავე კი ხინგვამ მარცხენა მხარში დანით დასჭრა ტრიფონ კვიცარიძე, მარცხენა ხელში ივანე სვანიძე და მარცხენა ხელშივე ანა გიორგაძისა.

### ბათომი

✦ სახელმწიფო სათათბიროს ამომრჩეველთა სიების შედგენას ბათომის ქალაქის გამგეობა უკვე შეუდგა. მუშაობისთვის თვალყურის დევნება დავალებული აქვს გამგეობის მდივანს ი. ს. მეასს.

✦ ბათომის ოლქის სამხედრო გუბერნატორმა ბათომის ქალაქის გამგეობას სავალდებულო დადგენილება წარუდგინა, რომლითაც თავიანთ სახლების წინ ტროტუარების გაკეთება სახლის პატრონებს ევალებათ.

## ჟურნალისტი-მოგზაური

გუშინ ჩვენს რედაქციაში შემოვიდა ბ-ნი კ. ველიჩკოვი, ბულგარელი ჟურნალისტი, რომელსაც აზრად აქვს მთელი დედამიწას ფეხით შემოუაროს. ბ-ნ ველიჩკოვს უკვე გაუვლია 70 ათასი ვერსი ფეხით. მოგზაურობა ბ-ნ ველიჩკოვს დაუწყვია 1903 წელს 8 იანვარს. დღემდის მას შემოუვლია ევროპა, ამერიკა, ავსტრალია, აზია და აფრიკა. ამ ჟამად იგი მოდის ტრიპოლიდან, სადაც ეხლა ომი სწარმოებს ოსმალეთსა და იტალიის შორის. 1904 წელს ველიჩკოვი ყოფილა შორეულ აღმოსავლეთში. ინგლისისა და ბურების ომის დროს ყოფილა ტრანსვაალში.

მოგზაურობისთვის ბ-ნი ველიჩკოვი ბულგართა ტურისტების კლუბისაგან იღებს 250 ათას ფრანკს. მოგზაურობა ბ-ნმა ველიჩკოვმა უნდა გაათავოს 1913 წლის 8 იანვარს. აქედან ბ-ნი ველიჩკოვი წასვლას აპირებს კახეთისკენ.

## რედაქციისაგან!

**პასუხად ბ. ვ ტიებოს.**

რადგანაც თქვენი ვრცელი საპასუხო წერილი ხადათ საკითხს სრულებით არ არკვევს, მისი დაბეჭდა ჩვენ მოუხერხებლად ვცანით. ჩვენის აზრით ყოველი ახალი საშუალება სამეურნეო მცენარეთა სენის წინააღმდეგ საბრძოლველად აუცილებლად საჭიროა უპირველეს ყოვლისა არა ერთხელ სცადონ აგრანომმეურნეებმა და მხოლოდ მრავალ წლის დაკვირებისა და გამოცდის შემდეგ შესაძლო იქნება გადაწყდეს, თუ რამდენად სასარგებლოა ნაცადი საშუალება—წამლობა ჩვენი მეურნეთათვის. ვიდრე ეს არ მომხდარა, მანამდის შეუძლებელია ჩვენ მეურნეთ ურჩიოთ მისი ხმარება.

რაც შეეხება ბ.ბ. ჩივაძისა და წინამძღვრიშვილის წერილებში გამოთქმულ აზრს ყაკმენის სითხის შესახებ საფუძვლიანად და დროულად მიგვაჩნია იგი და ამისათვის მივეცით მას ადგილი ჩვენს გაზეთში. რედაქცია სიამოვნებით დაბეჭდავს თქვენ წერილსაც, თუ იგი ობიექტიურად შეეხება და გამოარკვევს დაყენებულ საკითხს.

## სოფლის მასწავლებელთა საყურადღებოდ

ჯერ მხოლოდ ერთი კვირა გავიდა, რაც სახელოვანი მამულიშვილის ი. ს. გოგებაშვილის ძვირფასი ნეშთი მივაბარეთ მიწას, ჯერ კიდევ ჩვენში სამშობლოს კიდით კიდემდე საშინელი გლოვის ზარას ხმა ისმის და განსვენებულის სველ საფლავს მდუღარებას აზნევს ცნობიერი ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა, ჯერ კიდევ თვალებზე ცრემლი არ შეშრობიათ ქართველ მოსწავლე შრომის შვილებს, რომელთაც დაჰკარგეს გონებრივად და ზნეობრივად მფვრთნელი მამა-მოსარჩლე, რომელმაც ამათ გამოფხიზლებას შეაცვითა თვისი მადლიანი მარჯვენა, ჯერ კიდევ გონება ვერ მოგვიკრებია ამ თავზარდამცემი დასაკლისის შემდეგ და ამიტომაც იმაზე ლაპარაკი, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი კულტურისათვის ი. სიმონის ძის მოღვაწეობას, ერთობ მეძნელება თქმა, ამას ისტორია იტყვის – ეს ყველაზე მიუდგომელი, მოუსყიდველი მსაჯული და მერე კიდევ ამაზე ლაპარაკი ჩემზე უფრო შემძლებელი კალმის პატრონისთვის დამითმია. ვიტყვი მხოლოდ იმას, რასაც ამ ჟამად ყოველი ქართველი გრძნობს, რაშიაც ყველა დამეთანხმება მიუხედავად რწმენისა და მდგომარეობის, რასაც ჩვეულებრივი მომაკვდავიც კი ფიქრობს. იაკობ გოგებაშვილის შეუწყვეტელმა მოღვაწეობამ მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში, მისმა დაუშრეტელმა ენერგიამ მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა ქართულ სახალხო სკოლას, იაკობ სიმონის ძის თავგანწირულმა მუშაობამ, მისმა მშობელი ერის უსაზღვრო სიყვარულით აღსავსე გულის ამოძახილმა გამოიწვია სამოქმედოთ შესაფერი ძალები, უანგარო მუშაკები სახალხო განათლებისა, ჩამოყალიბდა ერთგვარი ტიპი სახალხო მასწავლებლებისა, რომლებსაც იაკობთან ერთად იერიში მიჰქონდათ და ეხლაც თავგანწირვით ეკვეთებიან ჩვენი ხალხის იმ უსაშინელეს მტრის სიმაგრეს, რომელსაც უმეცრება ჰქვიან; დიახ, იაკობის და მისებრ მადლმოსილი ადამიანების ძახილზე გაჩნდა ერთგვარი უჩინარი, მაგრამ სასარგებლო ტიპი მუშაკებისა, რომლებიც არ უფრთხიან არც სიღარიბეს, არც სიმშილს, ითმენენ ყოველგვარ შევიწროებას საყვარელი საქმის გამო; იაკობი იდეის კაცი იყო და იდეური მუშაკებიც გამოიწვია სამოქმედოთ. ის სხვებზე ძლიერად გრძნობდა, რომ ერთად ერთი მტერი ქართველი ხალხისა განსაკუთრებით ჩვენი სოფლების უმეცრება არის, თა მთელი 45 წლის განმავლობაში იერიქონის საყვირივით უვლიდა ამ საშინელი მტრის სიმაგრეს, იწვევდა საიერიშოდ შესაფერ ძალებს, სიცოცხლეშივე ნახა ეს კედლები სანახევროდ ჩამონგრეული და უკანასკნელი მისი ამოქშენა, მისი ანდერძი ისევ ამ სიბნელის ნაშთებზე უთითებს და საბოლოოდ მის შემუსვრას ავალებს მის მიერ აღზრდილ ძალებს. დიახ, ერთობ დიდია იაკობ სიმონის ძის მსხვერპლი სახალხო განათლების საკურთხეველზე მიტანილი და მეტად მძიმეა ჩვენი მოვალეობაც ფასდაუდებელი მოღვაწის წინაშე. ჩვენი ვალია ავუგოთ მას შესაფერი სახსოვარი, უკვდავი ძეგლი, რომელიც, რა თქმა უნდა, იმ თვისებისა უნდა იყოს, რა თვისებისაც თვით განსვენებულის მოღვაწეობა იყო. ყველა ამისთვის კი ნივთიერი სახსარია საჭირო და ჩვენც უნდა შევეცადოთ გოგებაშვილი სახელობის სახალხო განმანათლებელი ფონდის გაძლიერებას. ამაზე ზრუნვა ყველა შეგნებული ქართველის მოვალეობას შეადგენს, მაგრამ განსაკუთრებით თავს უნდა გამოიდონ იმათ, ვინც იაკობთან ერთად ეწეოდა სახალხო განათლების მძიმე უღელს, ვინც გზას უკვლევდა მისს უკვდავ „დედა ენასა“ და „ბუნების კარს“ წყვდიადით მოცულ ქოხმახებისკენ, ვინც სულს სდებდა, რომ ჩვენი ქართველი პესტალოცის სიტყვა საქმედ ექცია და თვისი უანგარო შრომით, თავგანწირვით ფრთას ასხამდა მის სურვილებს უორკეცებდა ენერგიას, ვინც აუცილებელი შუამავალი იყო იაკობის პატიოსან სულსა და მოზარდ თაობას შორის. მე მოგახსენებთ სოფლის მასწავლებელზე. ამ პატარა უჩინარ მუშაკებს დიდი წილი უდევთ სოფლის გამოფხიზლებაში და იმ ერთსულოვნობის შექმნაში, რომელმაც თავი იჩინა ძვირფასი პედაგოგის დაკრძალვის დღეს და სახალხო განმანათლებელ ფონდის შექმნაშიაც თვალსაჩინო როლი უნდა ითამაშონ ამათ. ამისთვის მოხერხებული დროც არის ეს ზაფხული. სოფლად წარმოდგენების მოწყობით, ხელის მოწერის გამართვით, ნაცნობთა და მეგობართა შორის ამ დიადი ძეგლის მნიშვნელობის განმარტებით ხელი უნდა შეუწყონ ამ ფონდის გაძლიერებას. თვით მოზარდ თაობის მოწვევასაც ამ საქმისთვის დიდი აღმზრდელი მნიშვნელობა ექნება. დარწმუნებული ვარ, სოფლის მასწავლებელი, რომელმაც ხელი შეუწყო ჩვენი ქვეყნის გათვითცნობიერებას, თავის მადლიანი ქედით აქამდე მოიტანა სახალხო სკოლა, რომლის უანგარო პატიოსანმა შრომამ ბრწყინვალე შარავანდედით შეჰმოსა თვით მისი ხელმძღვანელი უკვდავი პედაგოგის სახელი, აქაც შესაფერს უნარს გამოიჩენს და ერთხელ კიდევ დაუმტკიცებს ქვეყანას, რომ სოფლად „ცუდათ არ ჩაუვლია მის განწირულს სულის კვეთებას“ და ჩვენი დაჩაგრულების გამოძახილი, საერთო აღფრთოვანება ხსენებული ფონდის დაარსებით გამოწვეული ცალიერი დაპირება არ არის, არამედ უტყუარი სიმპტომია ჩვენი ქვეყნის გამოფხიზლების და გათვითცნობიერებისა.

**არსენ წითლიძე.**

P. S. ამასთანავე გიგზავნით 10 მანეთს გოგებაშვილის ფონდის გასაძლიერებლად და მოვალედ ვრაცხ ჩემ თავს ყოველ წლობით ვიხადო დასახელებულ ფონდისათვის თითო თუმანი **ა. წ.**

## სასიამოვნო დადგენილება

(წერილი რედაქციის მიმართ)

სიამოვნებით ამოვიკითხე გაზეთში ორი სასიხარულო დადგენილება ქართ. დრ. საზოგ. გამგეობისა: 1) 25 წლის ნამსახურ მსახიობთ მიეცეთ წლიური ჯამაგირი პენსიის დაგვარად და 2) სექტემბრიდან გაიხსნას დრამატიული კურსები, რომლის დირექტორად მიწვეულია ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

მართლაც ქართ. თეატრის ისტორიაში ღირსშესანიშნავი მოვლენაა, თუ სხვა და სხვა დაბრკოლებების გამო მარტო ქაღალდზე არ დარჩა დაწერილი და განხორციელდა. ძლივს გადადგა გამგეობამ ეს ძნელი ნაბიჯი, მაგრამ საქმე ის არის, როგორ განახორციელებენ ამ ორ საქმეს? პირველში,—დათმობა-კომპრომისების გზას დაადგება, თუ ერთის დაკვრით მოსპობს დაავადებულ სხეულს?

მეორეში-კი,—რა პრინციპებზე იქნება ეს კურსები აშენებული?

ეს კურსები იქნება ხელოვნების შესასწავლი წმინდა ტაძარი, თუ ჩვეულებრივი კომერციული დაწესებულება, როგორიც არსებობს რუსეთის სხვა და სხვა ქალაქებში და არსებობდა ტფილისშიაც, სადაც ღებულობენ ყველას, განურჩევლად ნიჭისა და განათლებისა ოღონდ სემესტრის ფული კი გადაიხადონ; საიდანაც „კურს დამთავრებულნი“ ღებულობენ დიპლომს და სასცენო ნიჭი კი არა აქვთ. (ერთხელ ასეთი დიპლომიანები ჩვენც გვყავდნენ). ეს რომ თავიდან ავიცილოთ, გამგეობას მართებს ძალიან ფრთხილად მოიქცეს, რომ დიპლომიანი უნიჭოები არ გამრავლდეს ქართ. სცენაზე და ეხლანდელ მდგომარეობაში არ ჩავვარდეთ. სკოლაში მიღებამდე მოწაფე უნდა გამოიცადოს სასტიკად ყოველ მხრივ; თუ მართლა იგი თვითქმნილი ნიჭი არ არის, უნდა ჰქონდეს განათლებითი ცენზი და განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მის **ზნეობრივ მხარეს**.

სიხარულით ვეგებები ჩვენი ნიჭიერისა და საყვარელი ლადოს დირექტორობასაც. მწამს, რომ ჩვენი მსწავლებელი და ახალგაზრდობის მოთა...

## ანკეტა პეტერბურგში მოსწავლე ქართველთა მდგომარეობის გამოსარკვევად.

ქართულ სამეცნიერო წრეს პეტერბურგში, რომელსაც ხელმძღვანელობს პრივ. დოც. ი. ა. ჯავახიშვილი, უკვე თავისი ისტორია აქვს, და ამ ისტორიიდან ერთს უმთავრეს ეპიზოდს ახლანდელი ანკეტა წარმოადგენს. ამასაც თვისი ისტორია აქვს. წრის დაარსებიდანვე დაიბადა ეს აზრი... მაგრამ პირველ ორ წელიწადს ვერ მოხერხდა. 1909 წელს, როგორც იყო წრემ თვისი ღარიბი კასის შემწეობით დაბეჭდა საანკეტო ფურცლები და 1910 წ. უკვე მარტში დაურიგდა ყველას. მაშინ აზრად გვქონდა მოგვეხდინა ანკეტა მთელ დედამიწის ზურგზე მცხოვრებ ქართველთა შორის. მაგრამ ხარჯმაც უბრალოდ ჩაიარა, მოლოდინიც გაგვიცრუვდა. რამდენი რა არ ვიღონეთ: ქართულ გაზეთებმა*), უფასოდ დაგვიბეჭდეს უზარმაზარი განცხადება. წერილიც მოვათავსეთ მოწოდების სახით, მაგრამ „არსაიდან ხმა, არსით ძახილი“. ეს იყო სწორედ მიზეზი, რომ სამეცნიერო წრემ ხელი აიღო აღწერის ასე ფართოდ დაყენებისაგან და საქმე შეზღუდა და ვიწროდ შემოფარგლა. 1912 წ. თებერვალს დაიბეჭდა ხელ ახლად ხუთასი ფურცელი და გამგეობამ, რომელსაც კრებამ რამდენიმე სხვა წევრიც მიაშველა, დაურიგა პეტერბურგში მოსწავლე ქართველობას ახლად დაბეჭდილი ფურცლები. სანამ დავარიგებდით ყველასი ადრესი ვისიც კი შეიძლებოდა გვეგეთ, უნივერსიტეტში ჩვენ და თითქმის ყველას სამასამდე სტუდენტი გვეგულებოდა, მაგრამ არც უნივერსიტეტის და არც სათვისტომოს სიაში 150-ზე მეტი აღარ აღმოჩნდა. შეიძლება მათი რიცხვი მეტი იყოს რადგან სათვისტომოს სიაში ბევრი ისეთი სტუდენტი აღმოჩნდა, რომელიც უნივერსიტეტის სიაში არ იყო შეტანილი და შესაძლოა ვიფიქროთ არიან ისეთებიც, რომელთა არსებობა არც ჩვენ ვიცით და არც უნივ—ის სიაში სჩანს. საერთოდ-კი დარიგდა 250 ფურცლამდე. ფურცლების დარიგება ადვილი-კი არ იყო: წინა წლების მაგალითებიდან ვიცოდით, რომ კრებებზე დარიგებული, ან ფოსტით გაგზავნილი ფურცელი მიზანს ვერ აღწევდა, ამიტომ სათითაოდ დაუარეთ ყველას ბინაზე და ისე ჩავაბარეთ ფურცელი; მაგრამ მაინც 151 ცალზე მეტი არ დაგვიბრუნდა. აქედანაც 5 სრულიად ცარიელი და მოგვივიდა სხვა და სხვა წარწერებით შემკული. მაგრამ რადგან მაინც დარიგებულ ფურცლებიდან ნახევარზე მეტი უკან მოგვივიდა ამიტომ უფლება გვაქვს აღწერა (ანკეტა) დამთავრებულად ჩავთვალოთ.

რასაკვირველია სამეცნიერო წრე უფრო კმაყოფილი იქნებოდა, მეტი პასუხი რომ მოსვლოდა, ვინემ მოუვიდა მაგრამ რაც არის ისიც ძვირფას მასალას გვაძლევს ზოგიერთ კითხვების გამოსარკვევად.

სამეცნიერო წრის ანკეტა პირველი არ არის: თოთხმეტი წლის წინად პეტერბურგის სათვისტომომ მთელ რუსის უმაღლეს სასწავლებლებში მყოფ ქართველ ახალგაზრდობის აღწერა მოახდინა და საინტერესო იყო ეს ორი ანკეტა ერთმანეთისათვის შეგვედარებინა მაგრამ სამწუხაროდ ეს ვერ მოხერხდა იმიტომ რომ აქ ვერ მოვნახეთ, გაზეთ „ცნობის ფურცლის“ №, სადაც პირველი ანკეტის შედეგი იყო დაბეჭდილი. მომავლისათვის ქარ. სამეცნიერო წრეს აზრად აქვს ყოველწლივ მოახდინოს ასეთი ანკეტა ᲓᲐ შედარებაც შემდეგში მოსახერხებელი იქნება. დღევანდელი ანკეტა პირველი ცდა იყო ჩვენი და თავისთავად ცხადია უნაკლულო არ იქნება, მაგრამ იმედი გვაქვს, შემდეგისათვის ამ ნაკლულოვანებათ მხარს ავუქცევთ და სტატისტიკის ნამდვილს კანონებზე დავამყარებთ.

ვინც იცის, თუ რა ძნელია ანკეტის მოხდენა და შემდეგ სტატისტიკური ცნობების შედგენა, ადვილად წარმოიდგინეს შეგვეძლო თუ არა სასტიკად დაგვეცვა ყოველივე კანონი. მაინც ვბედავთ და თამამად ვამბობთ, რომ რა გინდ ნაკლულოვანებიანი იყოს დღევანდელი ანკეტა, იგი მაინც ძვირფას ცნობებს გვაძლევს, რომლისაგანაც მიუდგომელ ადამიანს შეუძლია შესაფერისი დასკვნა გამოიყვანოს.

ქვევით ჩვენ მხოლოდ რიცხვები მოგვყავს, მხოლოდ აღვნიშნავთ რომელსამე მოვლენას, და ამათი გასაზოგადოვება ჩვენ თავზე არ გვიდევია. ეს მსურველს თითონ შეუძლიან და ეს მის ნებასა და გემოვნებაზეა დამოკიდებული. სულ 153 ფურცელი დარიგდა—მოსწავლეთა რიცხვი, რასაკვირველია, მეტია, მაგრამ ფურცელი ყველას არ ჩაბარებია.

დაგვიბრუნდა უკან სულ **151 ცალი.** აქედან **ხუთი ცალი** სრულიად ცარიელი იყო და შეემკოთ სხვა და სხვა წარწერებით; მაგალითად ერთი სწერდა: Что вам нужно от меня проклятые люди? къ чорту!“ მეორეს ზრდილობიანად დაეწერა: „Прошу получать обратно“ და ჩვენც მივიღეთ სრულიად ცარიელი ქაღალდი. ამრიგად **151 ცალს ხუთი უნდა გამოაკლდეს და ანგარიში გაუწიოთ მხოლოდ 156.**

ისინი ვინც პასუხი მოგვცა, სქესის და წლოვანების მიხედვით ამრიგად შეიძლება დავანაწილოთ:

ქალი არის სულ—17, ე. ი.—$11^1/_2$%

ვაჟი „ „ 129, ე. ი.—$88^1/_2$%

უმაღლეს სასწავლებლების მიხედვით ასე ნაწილდება:

უნივერსიტეტში დარიგდა სულ **110 ცალი***)

დაგვიბრუნდა 49—$44^1/_2$%.

სამხედრო საექიმო აკადემიაში დარიგდა 21 ცალი.

დაგვიბრუნდა — 21—100%.

პოლიტეხნიკუმში დარიგდა—22 ცალი.

დაგვიბრუნდა—22—100%.

ფსიხონევროლოგ. დარიგდა სულ 30 ცალი.

დაგვიბრუნდა 22 $73^1/_3$%.

დანარჩენ უმაღლეს სასწავ. (ვაჟების) დარიგდა—20 ცალი.

დაგვიბრუნდა –15—75%.

ქალთა უმაღლ. სასწ. დარიგდა სულ 510 ცალი.

დაგვიბრუნდა - 17 – 34%.

როგორც სჩანს, ყველაზე უფრო ნაკლები ყურადღება ანკეტას ქალებმა მიაქციეს. შემდეგ კი უნივერსიტეტში მყოფ ქართველებმა. უკანასკნელ შემთხვევაში ასეთი მცირე რიცხოვანი პასუხი მხოლოდ გულგრილობით და დაუდევრებით შეიძლება აიხსნას. რადგან, როგორც ზევითაც იყო ნათქვამი საანკეტო ფურცელი ყველას სათითაოდ დაურიგდა, ასე რომ თავის გამართლება იმით, ვითომც ფურცელი არ მიეღოთ არ შეიძლება. რაც შეეხება ქალთა პასუხის სიმცირეს აქ კი ერთი სხვა მიზეზიც დაერთო: ქალები უნდობლობით უყურებდნენ ანკეტას. უნდობლობა, როგორც კერძო ლაპარაკის დროს გამოირკვა გამოიწვია შიშმა; ვითომც ქართულ სამეცნიერო წრის გამგეობის წევრნი ანკეტის მიხედვით თვითოეულ ფურცლის დამწერის ვინაობას და გამოიცნობდნენ მათს გარემოებას შეიტყობდნენ.

რასაკვირველია სამეც. წრეს, ამ შემთხვევაში არავითარი საშუალება არ ჰქონდა დაეჯერებია „ურწმუნო“ პირნი და ამით მეტი ყურადღება დაემსახურებია. თუ კი ანკეტა, რომელზედაც მსხვილი ასოებით „анонимно“ ეწერა ვერ დააჯერებდა ჩვეს მოსწავლე ქალებს, ფიცი ხომ სულ ვერ გასჭრიდა.

სამაგალითო ყურადღებით მოეპყრო ანკეტას, როგორც მკითხველიც დაინახავდა, სამ. საექ. აკ. სტუდენტობა, პოლიტეხნიკოსები და ფსიხონევ. ინსტიტუტის სტუდენტები. ეს გარემოება იმითაც შეიძლება აიხსნას, რომ უფრო ნაკლებ რიცხოვანი არიან და ამასთანავე უფრო მჭიდროდ შეკავშირებულიც. ყოველისავე შემთხვევაში სამეცნ. წრეს მადლობის მეტი არაფერი დარჩენია იმ პირთა მიმართ ვინც პასუხი გაგვცა.

საინტერესო ცნობებს გვაძლევს ანკეტა აგრეთვე წლოვანების შესახებაც:

**18 წელზე** უფრო ახალგაზდა არც ერთი არ აღმოჩნდა. **35 წ.** უფრო ხნიერი. აგრეთვე არ აღმოჩნდა 35 წ. არის მხოლოდ 3.

აქედან ერთი ქალია. უმრავლესობას შეადგენენ 21, 22, 23 წლისანი.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21 წ. | არის | 24 | კაცი. | —$16^1/_2$ | პრ., |
| 22 „ | „ | 24 | „ | —$16^1/_2$ | „ |
| 23 „ | „ | 24 | „ | —$16^1/_2$ | „ |

არიან აგრეთვე 19 წლის (12, ერთი ქალია); 20 წლის—(16, ერთი ქალია); 24 წლის (7, სამი ქალია); 25 წლის (8, ქალი არც ერთი); 26 წ, (5, ერთი ქალია); 27 წლის (5, ქალი არც ერთი); 28 წლის (3, ქალი არც ერთი); 29 წლის (4, ერთი ქალია; 31 წლის (1, ქალი არც ერთი)) და 35 წლის როგორც ზევითაც იყო ნათქვამი 3 (ერთი ქალია).

თუ ვინ რომელ შტოს ეკუთვნის ქართველი ერისას, შემდეგი გამოირკვა:

უმრავლესობას შეადგენენ იმერლები—53—$36^1/_3$ პროცენტ., (აქედან ქალი სულ—5).

ქართლელი არის სულ—24—$16^{32}/_{73}$ პროც., (აქედან ქალი სულ 4).

კახელი არის 17—$11^2/_3$% (აქედან ქალი მხოლოდ—1).

გურული არის სულ 20—$13^2/_3$%, (აქედან ქალი—3).

*) განსაკუთრებით „სახალხო გაზეთმა“.

*) დანარჩენების მისამართი ვერ გავიგეთ.

სარჩიე ლაღო მხატვრულ სულს გაამეფებს ამ სკოლაში და თავის საყვარელ სცენას ღირსეულ მუშაკებს ჰოუმზადებს, თუ გამგეობამაც მას ხელი შეუწყო. გამგეობა-კი, როგორც კულტურული საზოგადოების წარმომადგენელი, იმედია მატერიალურ მხარეს ყურადღებას არ მიაქცევს და მსურველთა გამოცდის შემდეგ მხოლოდ რჩეულთ გაუღებს სკოლის კარებს.

ამას გარდა საჭიროა ჩვენს ეხლანდელ „პატენტიან არტისტებსაც“ დაევალოს ჩაერიცხონ სკოლაში და ენერგიულად შეუდგნენ თვითგანვითარებას.

ქართული თეატრის ყველა მსახურნი და მოყვარულნიც ხელს გაუწვდიან ამ დიად საქმეს. ტფილისის გამგეობა მარტო ტფილისის სცენისათვის კი არ აღზრდის მსახიობთ. ეს სკოლა ყველა დაბა-ქალაქების სცენის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. ამიტომ საჭიროა მოწვეულ იქმნას დრ. საზოგ. გამგეობათა და თეატრის ყველა მუშაკთა საზოგადო კრება. ეს კრება, როგორც ცენტრმა, უნდა ტფილისის გამგეობამ მოწვიოს და რაკი ამ უკანასკნელმა ჩვეულებრივი წლიური კრება სექტემბრისათვის გადასდო, სასურველია პროვინციიდანაც იმ დროისათვის მოიწვიოს ამ საქმით დაინტერესებულნი პირნი.

**ვალ. შალიკაშვილი.**

## გორის ქალთა საპროფესიო სკოლა.

(ქ-ნ. ე. ზ. თარხან-მოურავი'სა)

საპროფესიო განათლების მოთხოვნილება გორში წინადაც იყო, არსებობდა კიდეც რამდენიმე ამგვარი სკოლა, მაგრამ მტკიცე ნიადაგზე ვერც ერთი მათგანი ვერ იქმნა დაყენებული და ერთი მეორეზე თქვენი ჭირი მიჰქონდათ, თვალ-ცრემლიანი პატარა გოგოცუნები კი ბრუნდებოდნენ სახლში იმედ გაცრუებულნი, შეწუხებულნი. ბევრს ხშირად წინდაწინვე შეტანილი ფულიც ეკარგებოდა. რაკი ასე იყო საქმე, მშობლები თანდათან უნდობლად ეკიდებოდნენ ყოველს ახლად გახსნილ „კროიკის“ სკოლას, აღარ გზავნიდნენ შვილებს, უფრო კი აღარ შეჰქონდათ წინდაწინვე სწავლის ფული იმის შიშით—ვაი თუ მასწავლებელმა მოუსვას საითმე და ჩვენ მმრალზე დავრჩეთო. 3—4 წელი საპროფესიო სკოლას მოკლებული ვიყავით. მაგრამ მალე მოგვევლინა ქ. ელენე ზაალის ასული თარხან-მოურავი და თვისი მადლიანი ხელით სიმპატიურ, ფრიად სასარგებლო საქმეს მტკიცე საძირკველი ჩაუყარა. დიდი ხანი არ არის, რაც ეს სკოლაა გახსნილი, (გაიხსნა 1911 წ. 15 სექტემბერს) მაგრამ ამ მცირე ხანში საზოგადოების თვალში საკმაო სიმპატია მოუპოვებია. როგორც ზემოდ მოგახსენეთ ამგვარმა სკოლებმა ნდობა დაჰკარგეს-მეთქი ხალხის თვალში და შეიძლება ესეც იყო მიზეზი, რომ პირველად მოსწავლე-ქალთა რიცხვი 30-ს არ აღემატებოდა. მაგრამ კარგად დაწყებულ საქმეს მუდამ კარგი შედეგი მოსდევს. ხალხმა მალე დაინახა, რომ ქ-ნი ელენე თვის „წინაპართ“ არა ჰგავდა და რომ იგი ერთგული, მუყაითი იყო თავის საქმის. ამიტომაც იყო, რომ მცირე ხანში მოწაფეთა რიცხვმა ერთი ორად, ერთი სამად იმატა. დღეს მოწაფეთა რიცხვი 80-მდე ადის. ეროვნებათა მიხედვით მოწაფენი ასე იყოფებიან: ქართველი—66, სომეხი—12, რუსი—1, ოსი—1. უმრავლესობა მოწაფეთა ადგილობრივი მცხოვრებია, 28 კი ჩამოსულია სოფლიდან.

სკოლაში სამი განყოფილებაა. ასწავლიან ჭრა-კერვას, ხაზვა-ხატვას, გალობას, წერა-კითხვას. თავის გარდა ელენე ზაალის ასულს მიწვეული ჰყავს ხუთი მასწავლებელი. სკოლაში იღებენ წიგნის უცოდინართაც და შიგვე ასწავლიან წერა-კითხვას. სწავლის ფასად დაწესებულია წელიწადში 20 მან. მაგრამ ქ. ელენეს დედობრივ გულს არ დაჰვიწყებია ისიც, რომ ყველა ვერ შესძლებდა ამ თანხის გადახდას, დიდი სურვილიც რომ ჰქონოდა. ამიტომ შეძლებისა დაგვარად აძლევს შეღავათს ღარიბებს, ზოგს სრულიადაც ანთავისუფლებს სწავლის ფულიდან. ამჟამად სკოლაში უფასოდ სწავლობს—4, ნახევარ ფასი ნაპატიები აქვს—4-ს. სკოლაში იღებენ მოწაფეთ არა ნაკლებ 14 წლისა. აქ სწავლა ქმრიან ქალებსაც შეუძლიანთ, რომელთათვის დაარსებულია განსაკუთრებული სალამოს კურსები. კურსის დასრულების შემდეგ მოსწავლე-ქალებს ეძლევათ შესაფერი მოწმობები, რომლითაც ნება ეძლევა გახსნან საკუთარი სამკერვალოები, გასწიონ ჭრა-კერვის მასწავლებლობა სოფლის სკოლებში და სხვ. წლის განმავლობაში სწავლა სწარმოებს ცხრა თვეს, ენკენისთვიდან მაისის გასვლამდე, რის შემდეგ მოწაფეებს ითხოვენ საზაფხულოდ.

აქვე არ შემიძლიიან ერთი პატარა რჩევა არ მივცე ქ-ნ ელენე ზაალის ასულს. კარგი იქნება სკოლასთან გახსნიდეს პატარა ბიბლიოთეკასაც, შეიძენდეს ქართულ წიგნებს საქართველოს ისტორიის შესახებ და სხვ., რომ მოწაფეებმა სახლში თავისუფალ დროს იკითხონ, აამუშაონ გონება. გაიფართოვონ მცირედ მაინც მსოფლმხედველობა, გაიგონ ჩვენი წარსული, აწმყო, მომავალი. დასასრულ უნდა მოვახსენო მკითხველს, რომ სკოლა მტკიცე ნიადაგზეა დაყენებული და უფრო უკეთესად შეიძლება დაყენდეს, მაგალ. გაფართოვდეს სადგომი, ძოემატოს სასწავლო საგნები, გაიხსნას ბიბლიოთეკა და სხვ., თუ სკოლის მესვეური შრომის დროშას ძირს არ დასწევს და თუ საზოგადოებაც, რასაკვირველია, თანაგრძნობით მოეკიდება.

**სან-განიძე.**

## არიან დრონი...

არიან დრონი, როს ჩემი გული
სევდის უდაბნოდ გარდაიქცევა;
და ეჭვით მოცულს ყოველის მხრიდან
აჩრდილებისა მომესმის წყევა!..
ვიღაც სასტიკი და უნდობელი,
სდევნის ჩემს სულსა ცეცხლის მახვილით;
ვიღაც დასცინის ჩემს წმინდა სწრაფვას
ყრუ, დემონიურ გამოძახილით...

არიან დრონი, როს წარსულისა
მოგონებაც კი მიწამლავს გრძნობას;
აწმყო სიკვდილის დღედ მიმაჩნია
და მომავალსაც ვუთვლი მე გმობას...
და ყრუ უდაბნო არარაობის
თავისკენ მიხმობს გზას ჯადამცდარსა,
ჰსურს დამაშოროს ჟამთ ფერად სრბოლას
და თვით მპირდება თავშესაფარსა!..
მზადა ვარ დავსთმო ბედის საზღვარი,
გადავყვე მაცდურ იდუმალებას,
ზურგი ვაქციო ძველ სალოცავ კერპს
წარსულ შვენების დიად ღვთაებას!..

და ამ დროს ჰკიცხავს ჩემს შეკრთალ სულსა
შენი იმედის გამოძახილი,
დაღონებულის და ჰკაცრის სახით
წინ მელობება შენი აჩრდილი...
სამსხვერპლო ცრემლით აღვსილ თვალებში
ღვთიური ცეცხლი კვალად გიღვივის
და მეც ცხოვრების მტკიცე ნუგეში
იქ მეხატება და მასში მივის...
კვლავ ვუბრუნდები იმ უნდო სადგურს,
სადაც შენ გხედავ და მეგულები,
წრფელად ვლოცულობ იმ შავ კოცონზე,
სადაც ბრწყინავენ შენი ცრემლები!..

განვლიან დრონი ცვალებად სახით,
სევდა კვლავ შესცვლის წუთის სიხარულს;
მხოლოდ ვერ შესძლებს ფრთა შეაკვეცოს
ჩემს სულთან აღზრდილ შენსა სიყვარულს...
და თუ ოდესმე ეჭვით მოცული,
გავიფიქრებდი მე შენსა გმობას,—
დღეს მონა შენი სიყვარულისა
მუხლ მოდრეკილი ვითხოვ შენდობას!..

**ს. ფაშალიშვილი.**

## ქართული ლექსიკონი

2.

**ვ. ბერიძე. სიტყვის კონა.**

ამ „სიტყვის კონაში“ ახსნილია 2000-ზე მეტი სიტყვა, ზოგი იმერული, ზოგი რაჭული, ზოგიც ლიტერატურული. იმერული შეკრებილია უფრო მეტად ქვემო იმერეთში, განსაკუთრებით ხონსა და მის მისადევარში.

შრომა ბერიძისა, ვით უკვე ჩვენ მიერ გაცნობილი შრომა ილია ჭყონიასი („სახ. გაზ.“ № 631), მეტად ფასიანია, ქართულს ლექსიკონს ბევრს კაი სიტყვას სძენს და წინდაწინვე იმსახურებს მკითხველის გულითად მადლობას. ზოგიერთ სიტყვის განმარტება კი ჩვენ სრული და სწორი არ გვგონია. ასეთებია, ჩვენის ფიქრით:

„**კინკორი** верхушка“. აქ „კი“ არ უნდა იყოს პრეფიქსი, ხოლო „ნ“ რაღაც იაფეტური ხორცმეტი (наросmь). იგი ჩვენ გვესახება იგეთივე გამეორებულ შედგენილობად, ვით თავთავი, კანკალი, კინკილი, კინკრიხო, წურწური, ცუნცულაკი, ქინქლა, ძანძარი და სხ. ერთ და იმავე მნიშვნელობისაა: კინკორი—კინწირი—კენწერო—წინკერი (ინგ.)—წონწორი—(დუშეთ. მაზრ. წონწორა)—კინწირო.

**თაქება** არისო რტყმევა. ჩვენ კი ვიტყოდით: **რტყმა.** ავქსონი გვთხოვს შევადაროთ სომხურს „თაკელ“, მაგრამ ეს ხომ არა რტყმაა, არამედ ცემა! თაქება იმ ძირიდამაა, რომლიდანაც გვაქვს ტაკება, attaquer, атака. სომხური თაკელიც ამავე ძირისაა.

„**დაკიზინება** ცეცხლის დანთება“. ჩვენით უფრო სწორე იქნებოდა ცეცხლის დაგიზგიზება, დაგუზგუზება. ავქსონი გვიწვევს შევადაროთ სომხ. **კიზუმ.** მაგრამ ეს სომხურიც შესადარებელია თათრულთან ქёზ ლვეღფი, **ყიზმახ** ხურება, **ყიზლინ** მხურვალება, ღველფი, **ყიზლირმახ. დაკიზინება** იმავე ძირისაა, რომლიდამაა **გზება,** გიზ-გიზი=გუზ-გუზი, მუგუზი=მუგუზალი=სვან. მუ-ღვაზ, აგიზინება, აგუზგუზება, აკოცონება, მეგრულში ისმის აკორზამ: ქ-დაარზი დაანთე, დააგზე. ჩვენ ამავე ფესვს მივათვლით სიტყვებსაც: **კვესი** (ინგ. კёს), **კვესება.**

**კიმპალი**=კუმპალი. სოფელ ფუთელებისაგან ჩვენ ჩაგვიწერია **კიპალი-ც.** იგია საბას **კიმელი.** კიმპლვა ანუ კიმპულაობა იგივე მომტვრევაა და ჩვენ არ გვსმენია იმერეთში, რომ „გამოკიმპლვა“ ნიშნავდეს „ყურძნის გამომარცვლას“ ან არა გამოკუფხვლას.

**ალა-ალა** შეუძლებელია იყოს არაბ. ალლა-ალლა, რადგან იგი საქართველოში მოისმის აგრეთვე ჰალი-ჰალად, ჰარი-ჰარად, რომელიც ნიშნავს სისწრაფეს, მზა-მზარეულობას, უცებობას, „თათარ-იახნობას“.

„**ანაბრე** შენს საქმეს“ чортъ съ тобою კი არ არის, არამედ უპატრონოდ დარჩეს შენი საქმე, სხვის ანაბრად, ტიალად, ოხრად.

**დასი** (სომხ. დას) უდრის ბერძნ. „ტასსო“, „დასმა“ ნაწილი, დასი.

**დოშლოუყი** ოსმალური „დუშლუყ“—კი არა, თათრული დёშლუ-ღია. შეადარე: თათრ. **ბაშ** თავი, **ბიშლუღ** სათაო, თავ-სახურავი; დёშ გული, მკერდი, დёშლუღ საგულე, სამკერდულე.

„**იერი,** ეშხი, სახის გამომეტყველება“ აგრეთვე თათრულია: **ჰერ** ადგილი, ალაგი. ჩვენ რომ ჩითეულობაზე ვამბობთ „ალაგი არ უვარგაო“, თათრულად გამოსთქვამენ „ჰერი იახში დეგულ“ ანუ „ცერსიზდურ“.

**იალლა!** (ოსმ. იალლა съ Богомъ) „დააჯდა (ცხენს) და იალლა! გეჰქცა“... ოსმალური არაფერ შუაშია. თათრები და ყველა მაჰმადიანები ყველა საქმეს, ამხედრებას და სხვ., იწყებენ სიტყვებით ჲ-ალლა! ანუ ჲ-ლლაჰ! იგივეა, რაც ქართ. ღმერთო შენ-(ით)!

„**კორული** საბალახო“. სწორე განმარტება არ არის. ეს იგივე თათრული ყორუღ-ია (ინგ. ყოროღ) ზმნიდამ **ყორმაღ** დაცვა, დაკრძალვა. კერძო პირთა ყორუღებს ღობე არტყია, საჯაროს საყორღნეები. ეს არის კორული და არა **საბალახო** საზოგადოდ, მთისა და ბარის.

**მანვა** გატრუსვა. ვმადლობთ ავქსონს ამ ჩვენთვის ძვირფას სიტყვის პოვნისთვის, ოღონდ საჭირო იყო მის გვერდითვე მოესო მეგრულად **მანუა** შეტრუსვა.

„**ქილიში** დირე, რომელზედაც სახლის იატაკია დაგებული“. ფუთელების სიტყვით ჩვენ ჩაგვიწერია: „**ქირიში** კოჭები იატაკისა და ჭერის დასაგებად“.

„**ქინქიტი** თეთრი, სუფთა“. ჩვენ კი ჩაგვიწერია: ქირქიტი.

„**ქიჩქინია** ლამაზი, ტურფა“. ჩვენ გვიწერია: პიჩკინია.

„**ჭიანი,** გამო-ჭიანება, ჭენება“. რომელი ჭენება? ცხენის ჭენება თუ ხელისკვრა? გაჩეჩილაძის ჩანაწერი ზემო-იმერეთში „უჭიანი“ იგივეა, რაც ინგილურ, „ჰუჭენა“ ხელი ჰკრა: მიჭენა, გიჭენა, ჰუჭენა.

**ჯიმადა** (მამიდის ან დეიდის ქმარი)-ს ახსნა საჭირო იყო დამატებოდა მეგრული **ჯიმადი** ბიძა (მეგრ. ჯიმა=ძმა=სვან. ჯიმილ. ჯიმადი ჩამომავლობით იგივეა, რაც ძმადი).

„**ურუმი** (უპირმარილო, უხასიათო კაცი“. თავდაპირველად კი, რაღა თქმა უნდა, მხოლოდ თურქი, ოსმალო. ურუმად იწოდენ თურქნი მის შემდეგ, რაც დაიპყრეს რუმი ანუ რომის აღმოსავლეთი ნახევარი ბიზანტია. თვით უ-ც მათივე დამატებაა: ურუს=რუსი, ურუმ=რუმელი, ჰრომი.

აქ ვსვამ წერტილს. ვიმეორებ, ქართულ ლექსების უცხოურ ენების ლექსებთან შედარების დრო ჯერ არ მოსულა. ჯერ უნდა სერთო ძალღონით შემოვიკრიბოთ ყველა მასალა და მერე მხოლოდ შეიძლება, თუ ვისმე ეპრიანება, ხელი მიჰყოს შედარებებს, დაახლოვებებს.

სალექსიკონო მასალის შემოკრებას ოციოდე წლის წინად ჩვენ ვავალებდით წ. კ. საზოგ. გამგეობას და რახან დღეს უკვე არსებობს საქართ. საისტ. და საეთნ. საზოგადოება, ამიტომ ეს საქმე ამ საზოგადოებამ უნდა იტვირთოს ანუ, უკედ ვთქვათ, ამ საზოგ. აგრედ-წოდებულ ლინგვისტიურ განყოფილებამ, რომელს ჰყავს თვისი თავმჯდომარეც, დიდად პატივცემული დ. გ. კარიჭაშვილი.

**მ. ჯანაშვილი.**

## უცხოეთი

**შეერთებულ შტატების (ამერიკა) საპრეზიდენტო კანდიდატი.**

დემოკრატთა პარტიის კონვენტმა საპრეზიდენტო კანდიდატად დაასახელა ექიმი ბუდრო ვილსონი. ვილსონის სახელი განთქმულია არა მარტო ამერიკაში, ევროპაშიც, ვითა მეცნიერისა. საპოლიტიკო ასპარეზზე დიდი ხანი არ არის, რაც გამოსულა. მის ნაწერებში შესანიშნავი არის: „კონგრესის მმართველობა“, „სახელმწიფო“ (ამის რუსული თარგმანიც არის) და ამერიკელთა ისტორია. პარტიას იმედი აქვს, როგორც უფრო მეცნიერი, ვილსონი პარტიის ხელში ბრმა იარაღობას გასწევს, ამავე მიზნით ორი წლის წინად გუბერნატორის კანდიდატადაც წამოაყენა. მაგრამ ვილსონს გაუმტყუნებია და გაუცრუებია მოლოდინი: თეორეტიკობასთან ერთად, პრაქტიკოსობაც მოსდგამდა თურმე და სრულიად არ ემორჩილებოდა ვისსამე ცუდ გავლენას. საზოგადოდ, ვილსონი ძალიან პატიოსან კაცად არის ცნობილი და ბევრად სჯობია თავის მოწინაამდეგეს კლარკსა, რომელიც იმას მიემხრობა ხოლმე, ვისაც ძალა უჭირავს ხელთა.

## სხვა და სხვა ამბავი

**სიმხეცე.**

ვორონეჟის გუბერნიის სოფ. კრუგლოვოში ოთხ ქალიშვილს: კულაკოვას, იაზიკოვას და დებს რიტკოვათ ჰყვარებიათ ადგილობრივი ეკლესიის მნათე, რომელიც უფრო მეტ ყურადღებას აქცევდა თურმე მეხუთე ქალიშვილს შანკინას. ამ გარემოებას მეტად გაუბრაზებია ოთხი შეყვარებული, რომელთაც გადაუწყვეტიათ შანკინასათვის სამაგიეროს გადახდა. ერთ მშვენიერ საღამოს, ვაჟის ტანისამოსით გამოწყობილნი შეყვარებულნი შესცვივნიან მას სახლში და სასტიკათ უცემნიათ. შემდეგ უგრძნობლად წაუთრევიათ მინდორში და იქ ჯოხით გაუხრწნიათ. ამსთანავე შეუჭრიათ მისთვის თმა, შეუკრავთ და სახეზედაც გოგირდის სიმჟავე გადუსხამთ.

**როდის მოიწვევენ მე-4 სახელმ. სათათბიროს.**

პეტერბურგიდან იტყობინებიან, მე-4 სახელმწ. სათათბიროს მოწვევა ცოტა დაგვიანდება, რადგან არჩევნების დანიშვნა იმ დროს, როდესაც გლეხთა მუშაობა ჯერ დაუსრულებელია, მოსახერხებელი ვერაა. ამას გარდა, მოსკოვის დღესასწაულების დროს თავად-აზნაურობისა და ვოლოსტების წარმომადგენლებიც უნდა დაესწრონ და, მაშასადამე, უიმათოდ არჩევნების დაწყება შეუძლებელი იქნება. ამიტომ, თუ არჩევნები 15 სექტემბრიდან დაიწყება, 15 ნოემბრამდე მაინც გასტანს და რადგან მაშინ შობის დღესასწაულებიც ახლო იქნება, ადვილად შესაძლებელია მე-4 სათათბიროს გახსნა 15 იანვრამდე არ მოხდეს.

## საარჩევნო სამზადისი.

პარიზში,—როგორც „რუს. სლოვო“ გადმოგვცემს,—არსენტიევისა და ბუნაკოვის რედაქციით გამოსულა სოც.-რევოლუციონერების ახალი ჟურნალი „პოჩინ“, რომელიც დაბეჯითებით მოითხოვს პარტიის ტაქტიკის გადასინჯვას და ტერორის გაუქმების საჭიროებას. ჟურნალი უარყოფით ეკიდება სათათბიროს ბოიკოტს და მოუწოდებს პარტიის წევრებს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად.

ოქტომბრისტები, მიუხედავად იმისა, რომ განმარტოებულ მდგომარეობაში იმყოფებიან, გულს მაინც არ იტეხენ და იმედი აქვთ, რომ მემარჯვენეები ვერ გაიმარჯვებენ, რადგან არჩევნების დროს ხმები გაიყოფა და პროგრესისტებიც, მეორედ კენჭის ყრის დროს, მათ მისცემენ ხმას, როგორც „უკვე გამოცდილ კონსტიტუციონალისტებს“.

## მოწერილი ამბები

**ს. თიანეთი.** დაგვიდგა ზაფხული და თიანეთსაც დაეტყო გამოცოცხლების ნიშნები: მოვიდნენ მოაგარაკენი, ახალგაზდობა, მოსწავლენი და ხალხიც ცოტა გაამხიარულეს. კვირას, 17 ივნისს, ადგილობრივმა ინტელიგენციამ თ-დი შ. ჩოლოყაშვილის ხელმძღვანელობით გამართა წარმოდგენა თიანეთის სამკითხველოს სასარგებლოდ. ითამაშეს ვ. გუნიას სამ მოქმედებიანი კომედია „ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე“ და ერთ მოქმედებიანი კომედია „დედის ერთა“ გუნიასივე, გადმოკეთებული. წარმოდგენამ მწყობრად ჩაიარა, ხალ-

---

მეგრელი არის სულ 19—13%, (13 1/73%), (აქედან ქალი—2).

რაჭველი არის სულ 3—2% (2 1/73), (აქედან ქალი—1).

თითო-თითო აღმოჩნდა: აჭარელი, აფხაზი, სვანი და თუში.

ზოგი კი პასუხს არ იძლევა.

ახლა, თუ კი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მიხედვით ვიანგარიშებთ, შემდეგი სურათი იშლება ჩვენს თვალს წინ:

დასავლეთ საქართველოდან არის 98—70%.

აღმოსავლეთ საქართველოდან—42—30%.

არ გვიპასუხა—6.

თუ ვინ სად დაბადებულა ამის შესახებ ანკეტამ შემდეგი გვიჩვენა*).

**ტფილისის გუბერნიაში:**

| | | |
|---|---|---|
| ქ. ტფილისში | დაბადებულა | 16. |
| გორის მაზრაში | „ | 15. |
| ტფილისის „ | „ | 10. |
| დუშეთის „ | „ | 2. |
| თელავის „ | „ | 2. |
| სიღნაღის „ | „ | 3. |
| თიანეთის „ | „ | 2. |
| ახლციხის „ | „ | 2. |

სულ 54—37 1/3%.

**ქუთაისის გუბერნიაში:**

| | | |
|---|---|---|
| ქ. ქუთაისში | დაბადებულა | 8. |
| ქუთაისის მაზრაში | „ | 38. |
| შორაპნის „ | „ | 10. |
| ოზურგეთის „ | „ | 12. |
| ზუგდიდის „ | „ | 6. |
| სენაკის „ | „ | 5. |
| რაჭაში „ | „ | 5. |
| სოხუმში „ | „ | 2. |
| ლეჩხუმის „ | „ | 1. |
| ბათომში „ | „ | 1. |

სულ 88—60 2/3% (60 20/29%)

*) არ უპასუხნია 46-დან **ერთს.**

განჯის გუბერნიაში დაბ. 1.
თერგის ოლქში „ 2.

მხოლოდ სამი არ დაბადებულა არც ტფილისის და არც ქუთაისის გუბერნიაში*).

თუ როდის გაუთავებიათ გიმნაზია, შემდეგი გამოირკვა:*)

1901 წლის არის მხოლოდ 2.—1 1/2%
1902 „ „ „ 2.—1 1/2%
1903, 1904, 1905, 1906
არ აღემატება—2-ს.

უფრო მეტ ნაწილს გიმნაზია გაუთავებია

| | | | |
|---|---|---|---|
| 1907 წელს | „ | 14—10 | პროცენ. |
| 1908 „ | „ | 22—15 2/3 (15 5/7) | „ |
| 1909 „ | „ | 32—23 (22 6/7) | „ |
| 1910 „ | „ | 30—21 1/2 (21 3/7) | „ |
| 1911 „ | „ | 24—17 1/7 | „ |

როგორც სჩანს, გიმნაზიებს 1909 წელს უფრო მეტი პროცენტი მოუცია, ვიდრე უწინ და შემდეგ წლებში.

საინტერესოა აგრეთვე ვიცოდეთ ვის სად და რომელი სასწავლებელი დაუმთავრებია.

საინტერესოა შევადაროთ ერთმანეთს კლასიკურ გიმგიმნაზიაში და მთავრობის სხვა სასწავლებლებში კურს დასრულებულთა რიცხვი ქართულ გიმნაზიებში კურს დამსრულებულთა რიცხვს*).

| | | |
|---|---|---|
| ტფილ. ქართ. გიმ—ია | —17— | 13 1/2% |
| ქუთაისის „ „ | — —15— | 11 5/6% |
| ს უ ლ | 32— | 25 1/5% |
| მთავრ. ქუთ. სავაჟ. გიმ. | 23 | 18 1/9 „ |
| „ რეალური სასწავლ. | 15— | 11 5/6 „ |
| „ ტფილ. სავაჟ. გიმ. | —13— | 10 1/4 „ |
| „ სასულიერო სემინარ. | 15— | 11 5/6 „ |
| „ კომერც. სასწავლ. | — 6— | 4 2/3 „ |
| „ რეალური სასწ. | — 4— | 3 1/6 „ |
| „ სამასწავლებლო სემინ. | — 4— | 3 3/6 „ |
| „ კადეტის კორპუსი | — 2— | 1 1/2 „ |
| „ შინ მიღებული განათ. | — 2— | 1 1/2 „ |

*) განჯაში და თერგის ოლქში 3.

*) არ უპასუხნია ამ კითხვაზე **6** (ექვსს).

*) არ უპასუხნია—2.

დანარჩენთ გაუთავებიათ: ბათუმის გიმ. (1); განჯაში (1); ექსტერნ. დაუჭერია ეგზამენი ოლქში (2); პეტერბურგის გიმნ. (2); ოდესაში, (1); და სხვა. არც ერთი არ აღემატება ორს. უფრო ხშირათ არის თითო-თითო (თითქმის სულ).

როგორც ხედავთ, მხოლოდ ქუთაისის სავაჟო გიმნაზია სჭარბობს ორივე ქართულ გიმნაზიას (ცალცალკე), თორემ დანარჩენ შემთხვევაში ან თანასწორი რიცხვია ან ნაკლები. მაგალითად **ტფილისის სავაჟო გიმნაზიები** (ყველა) იძლევა მხოლოდ **10 1/4%** და ტფილისის ქართული გიმნაზია კი **13 1/2%**. განსხვავება თავისთავად ცხადია. *)

რაც შეეხება ქალებს გაუთავებიათ:

| | | |
|---|---|---|
| ტფ. ქალ. გიმნაზია | 6—37 1/2 | პროც. |
| ტფ. წმ. ნინოს სასწ. | 2—12 1/2 | „ |
| ქუთ. „ „ „ | 6—37 1/2 | „ |
| პეტერ. ინსტიტუტი | 1—6 1/4 | „ |
| შინაური განათლებ. | 1—6 1/4 | „ |

(არ გვიპასუხა ერთმა

საშუალო სასწავლებელში მარტო: მშობ. ხარჯ. იზდ.**) 81—55 6/7 პრ.
მარტო ხაზინა ზდიდა 14—9 2/3 „

მშობლების, ნათესავების, ხაზინას და სხვების დახმარებით . . . . . 47—32 1/2 პრ.
საშუალო სკ. არ უსწავ. 3— „

წოდების მხრით სტუდენტობა ასეა დანაწილებული: *)

| | | | |
|---|---|---|---|
| აზნაური არის | — 65 — | 45 1/2 | %. |
| გლეხი — | — 25 — | 17 1/2 | %. |
| სასულ. წოდების | 22 — | 15 1/3 | %. |
| თავადი | — 14 — | 9 4/5 | %. |
| მოქალაქე | — 8 — | 5 1/2 | პრ. |
| მდაბიო მოქალ. | 8 — | 5 1/2 | პრ. |

ერთიც მოხელეს შვილია.

*) ტფილისის და ქუთაისის ქართულ გიმნაზიიდან სამხედ. სამედიცინო აკადემიაში მხოლოდ ხუთი (5) სტუდენტია; პოლიტეხნ. 5. უნივერსიტეტ. 18 და დანარჩენი კი ტეხნოლოგიურში.

**) არ უპასუხნია ერთს.

*) არ გვიპასუხა—3.

* არ სწერს 12.

რაც შეეხება სარწმუნოებას, მხოლოდ **ოთხია** არა მართლმადიდებელი: აქედან

| | |
|---|---|
| მაჰმადიანია — | 1. |
| მოსეს რჯულისა | 1. |
| კათოლიკეთა — | 2. |

შემდეგ საჭიროდ მივგაჩნია აღვნიშნოთ რამდენსა ჰყავს დედ-მამა ცოცხალი, და რამდენია ობოლი?! აღმოჩნდა რომ:

| | | |
|---|---|---|
| მამა არა ჰყოლია | 48 — 30 5/7 | პრ. |
| ჰყოლია | 97 — 69 2/7 | პრ. |
| არ უპასუხნია — | 6 | |

| | | |
|---|---|---|
| დედა არ ჰყოლია | 22—15 ნახ. | პროც. |
| ჰყოლია „ | „ 120—84 ნახ. | „ |
| არ უპასუხნია „ | 4. | |

შემდეგ

| | | | |
|---|---|---|---|
| ა) მამა აზნაური ჰყოლია | | 65—45 1/2% | |
| გლეხი „ | „ „ | 25—17 1/2 | „ |
| სასულ. წოდ. „ | „ „ | 22—15 1/3 | „ |
| თავადი „ | „ „ | 14— 9 4/5 | „ |
| მოქალაქე | „ „ | 8— 5 1/2 | „ |
| მდაბიო მოქალ. | „ | 8— 5 1/4 | „ |
| მოხელე ჰყოლია მამა | „ | 1—ს. | |
| ვაჭარი | „ „ | 1—ს. | |
| ბ) დედა აზნაური*) | „ | 64—48 1/3 | „ |
| გლეხი | „ „ | 33—24 4/5 | „ |
| თავადი | „ „ | 16—12 4/133 | „ |
| სასულ. წოდ. | „ | 11— 8 1/4 | „ |
| მოქალაქე | „ „ | 5— 3 3/4 | „ |
| მდაბიო მოქ. | „ | 4— 3 | „ |

გასაოცარი მოვლენაა, რომ ვაჭარი, მრეწველი მამა მხოლოდ ერთია აღნიშნული. შეიძლება ასეთი სიმცირე იმით ავხსნათ, რომ მამა რომელიმე სტუდენტის ვაჭარიც იყოს, მრეწველიც და ამასთანავე შეტანილი ჰყავდეს ანკეტის დამწერს ან თავადის, ან აზნაურის ან სხვა რომელიმე წოდებაში.

(შემდეგი იქნება).

* არ იცის 1.

ხი ბლომად დაესწრო და ნასიამოვნებიც დარჩა. განსაკუთრებით კარგები იყვნენ ქ-ნნი ნ. ვართანოვისა და ვ. გოგოლაძე. ამათ თავიანთი კოხტა და ხელოვნური თამაშობით ხალხი ბევრი აცინეს. არა უშავდათ რა შ. ჩოლოყაშვილს, ვ. ვართანოვს და კ. შამანაურს. დანარჩენები კი ცოტა კოჭლობდნენ. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ამათ მოსამზადებლად მარტო სამი დღე ჰქონდათ და სცენის მოსაწყობათაც თითონ დარბოდნენ, მაშინ საზოგადოდ ყველამ სინიდისიერად შეასრულა თავის მოვალეობა იმედია თიანეთის ინტელიგენცია შრომას არ დაზოგავს და რამდენიმე წარმოდგენას კიდევ გამართავს ამ ზაფხულს, მით უმეტეს, რომ ამისათვის ძალებიც შესწევს და საზოგადოებაში სურვილიც არის. დიდი მადლობის ღირსია თ-დი შ. ჩოლოყაშვილი, რომელიც ჩვენი გულისათვის ს. მატანიდან ამოვიდა და იკისრა წარმოდგენის მოწყობა-ხელმძღვანელობა. შემოსავალი ბილეთებების გაყიდვით 37 მ. 60 კ. იყო.

აქედან დაიხარჯა 17 მ. 14 კ. შემდეგზე: ტელეგრამა 2 მ. 50 კ., მარკები 1 მ. 50 კ., ორი გირვანქა სანთელი 60 კ., ორი არშინი ჩითი 30 კ., ორი ცალი ლამფის შუშა 16 კ., ბილეთების წიგნაკი 15 კ., ექვსი ლამფა 3 მ. 10 კ., მუშებს 1 მ., ლურსმები 23 კ., დურგალი 1 მ., საპონი 15 კ., ვაზელინი 20 კ., წებო 15 კ., კანაფი 10 კ., მეზურნეებს 5 მ., მეზურნეებთან ბიჭის გასაგზავნი 1 მ. სულ 17 მ. 14 კ.

დანარჩენი წმინდა შემოსავალი—20 მ. 46 კ. სამკითხველოს გამგეს გადაეცა. **დეგოთელი.**

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

**საზღვარ-გარედ**

27 ივნისი.

**მაროკოს აჯანყება.**

**ფეცი.** დილით გურანი როგის გამოუდგა და მულაიბუქტის ახლო დაამარცხა. მტერი უკუ იქცა და სურსათი მიატოვა.

**შიმშილობა იაპონიაში.**

**ტოკიო.** ბრინჯი ძლიერ დაძვირდა და დიდი ნაკლებლობაა. იაკოგამაში ბრინჯის 140 ჩარჩი დააპატიმრეს. ხალხი დიდ გაჭირვებაშია, იყო ისეთი შემთხვევები, რომ სკოლებში ბავშვებს შიმშილით გული მისდიოდათ.

**სპარსეთის ვითარება.**

**თავრიზი.** რეშიდ-ულ-მულკი არდებილს გაემგზავრა თავისი რაზმითა. იურთჩელი შაჰსევნები საზღვარზე გროვდებიან.

**პორტუგალიის მონარქისტები.**

**მადრიდი.** 300 მონარქისტი მთებში დაბანაკდა. პორტუგალიის საზღვარზე უშედეგო ხანგრძლივი თოფის სროლა იყო. იბრძოდნენ მონარქისტები და მთავრობის მხედრობა.

**ლისაბონი.** მონარქისტების ჯარი რამდენსამე ადგილს შეიჭრა პორტუგალიაში. ჩრდილოეთის პორტუგალიაში მონარქისტების მოძრაობა აღარა ყოფილა. რამდენსამე დიდ ქალაქში, განსაკუთრებით ლისაბონში, რესპუბლიკელთა დემონსტრაციები არის.

როალისტები ორი ზარბაზნით შავეზს დაესხნენ თავსა. ორსაათოვან ბრძოლის შემდეგ მონარქისტები დამარცხდნენ.

პალატამ მთავრობას დაავალა, თუ საჭირო იქნება საკონსტიტუციო გარანტიები მოსპეთო.

**ოსმალეთ-იტალიის ომი.**

**რომი.** გუშინდელ ბრძოლის შემდეგ იტალიელებმა მისრატი აიღეს.

მისრატთან ბრძოლის დროს ოსმალოებს რამდენიმე ასი კაცი დაუკარგავთ. იტალიელებისათვის 9 მოუკლავთ, 121 დაუჭრიათ.

**აფეთქება მაღაროებში.**

**ლონდონი.** ქვანახშირის დენბის მაღაროებში მოხდა აფეთქება. დაიღუპა 30 კაცი, დაშავდა 2. მაღაროები კონისბროროს ციხეს ახლოა. ციხეს ამას წინად მეფეც ეწვევია.

უკანასკნელ ცნობათა მიხედვით აფეთქების დროს თითქმის 65 კაცამდე დაღუპულა.

**ჩინეთის ამბავი.**

**შანჰაი.** გონკონგის გუბერნატორის მოკვლის განმზრახველმა კანტონელმა ლიმ განაცხადა: ფრენისუმეის იმიტომ ვესროლე, რომ ჩინელებს ძალიან აწუხებს და სჩაგრავსო.

გონკონგსა და ფიჯის კუნძულებზე დაბანაკებულ ჯარისათვის ჯამაგირი არ მიუციათ, რის გამოც ჩინელების სახლებისა და დუქნების ძარცვა-გლეჯისათვის მიუყვიათ ხელი. ზარალი თითქმის მილიონამდეა, დაშავებულიც ბევრი ხალხი ყოფილა, დუქნები დაკეტილია.

**პეკინი.** ფინანსთა მინისტრმა დაჟინებით მოსთხოვა ბანკირებს პასუხი სესხის შემოკლებულ სხემისა და დასძინა: უცხოელთა კანტროლს ვერ დავთანხმდებითო. ბანკირები ზოგიერთს ცვლილებას დაჰპირდნენ, მაგრამ სთქვეს კი, არსებითად ვერაფერს შევცვლით, მხოლოდ ფორმის შეცვლა შეიძლებაო. ამისთანავე განცხადება გაუგზავნიათ 6 სახელმწიფოთა წარმომადგენლებს.

**გენერლის მოკვლა.**

**კაშგარი.** ქალაქ ბორკულში მოუკლავთ კორპუსის გენერალი, რომელიც სინძიანის პროვინციის ჯარის უფროსად უნდა დაენიშნათ. კაშგარის ჯარი თან და თან მატულობს, ციხეებს ამაგრებენ და საზარბაზნე შენობებს აგებენ.

**რ უ ს ე თ ი.**

**საშინელი სიცხე.**

**ტაშკენტი.** ნაშუადღევის სამ საათზე 48 გრადუსი სიცხე იყო. ცხენები სიცხით იხოცებიან.

**საქალებო უმაღლეს სასწავლებელთა შუამდგომლობა.**

**პეტერბურგი.** სახალხო განათლების სამინისტროს განსახილველად გაეგზავნა სამეცნიერო კომიტეტის საქალებო უმაღლეს სასწავლებელთა შუამდგომლობა: ამ სასწავლებელთა დიპლომებს ისეთივე უფლება და ძალა ჰქონდეთ, რანაირიც უნივერსიტეტების მოწმობებს აქვთო.

## ფ ო ნ დ ი.

**იაკობ გოგებაშვილისა.**

დღევანდლამდე იყო შემოსული . . . . . 436 მ. 54 კ.

მივიღეთ მარუაშვილებისაგან და ბურჯანაძისაგან (ტაგანროიდან) . 6 მ. —

სულ მიღებულია 442 მ. 54 კ.

# თეატრი და ხელოვნება

**გორი.** ვასო აბაშიძის გასტროლი. პარასკევს 29 თიბათვეს ტფილისის ქართულ თეატრის მსახიობი **გ. არადელი—იშხნელი, ვასო აბაშიძის** მონაწილეობით გამართავს წარმოდგენას; წარმოდგენილი იქნება ი. გედევანიშვილის პიესა „მსხვერპლი“.

**ქ. სიღნაღი.** ხვალ, 29 ივნის ადგილობრივ საკრებულოს დარბაზში, **თამარა აბაშიძის** თაოსნობით გაიმართება „საკონცერტო და სალიტერატურო საღამო“ სხვათა შორის ტფილისიდან მიწვეულნი არიან **ი. გრიშაშვილი**, და მომღერალი **გ. კანდელაკი.**

**სოფ. დიღომი.** კვირას, 24 ივნისს ტფილისელ სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქმნა „ბაიყუში“ და „ტიმოთეს ლეღვი“.

ხალხი აუარებელი მიაწყდა და ბევრი უბილეთობისა გამო უკან დაბრუნდა...

მშვენივრად ჩაატარეს თავიანთი როლები: გოდერძიმ, ბეჟანიშვილმა, დავიდოვმა და გულაზოვმა. დიდი მადლობის ღირსნი არიან: მამასახლისი—ზანდარაშვილი, მწერალი—გუგუშვილი, გენებაშვილი და პავლე მაღალდაძე. სასურველია ორკვირაში ერთხელ მაინც გაიმართოს ასეთი საღამოები. **აქაური.**

# წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენ პატივცემულ გაზეთის საშუალებით გამოვაცხადო შემდეგი:

„სახალხო გაზეთი“-ს მკითხველებს ეხსომებათ გუშინწინდელი ჩემი მიმართვა „თემი“-ს რედაქტორის გრიგოლ დიასამიძისადმი: ვთხოვდი **გადაჭრილი პასუხი** მოეცა, ზოგიერთ საკითხებზე. პასუხის მაგიერ ბ-ნმა დიასამიძემ გამოაცხადა „ზაკ. რეჩ“-ში: რაც უნდა ის ჩაიდინოს ბ-ნმა ჟორდანიამ, მე-კი არავითარ განმარტებას არ ვიძლევიო.

ამის შემდეგ, გუშინ დილით, შემდეგი შინაარსის წერილი გავუგზავნე „თემი“-ს რედაქტორს:

თქვენო ბრწყინვალებავ!

„ზაკ. რეჩ“-ში დასტამბულმა თქვენმა წერილმა არ დამაკმაყოფილა, რადგან თქვენ გვერდი აუქციეთ ჩემ გადაჭრილ კითხვებზე პასუხის მოცემას.

ამიტომ, და ვიმედოვნებ-რა, რომ პატიოსან ჟურნალისტთანა მაქვს საქმე, რომელიც, შეიძლება, შესცდეს, ხოლო თავის ნათქვამის განმეორებას და გამოსარჩლებას არას დროს არ გაექცევა,—წინადადებას გაძლევთ ჩვენ შორის ატეხილი უსიამოვნობა სამედიატორო სასამართლოთი დავაბოლოვოთ, იმ პირობითკი, რომ უკანასკნელის განაჩენი ყველა გაზეთებში დაიბეჭდოს.

ვიმედოვნებ, რომ თქვენ **წმიდა მოვალეობად** ჩასთვლით ამ ჩემის წინადადების მიღებას.

ველი თქვენს წერილობითს პასუხს დღეს, ნაშუადღევის პირველ საათამდე „ზაკავკაზიე“-ს რედაქციაში. **გ. ჟორდანია.**

ქ. ტფილისი.
28 ივნისი, 1912 წ.

ეს ჩემი წერილი ბ-ნმა დიასამიძემ გახსნა, წაიკითხა და... გახსნილი დამიბრუნა.

„რასა ნიშნავს ეს? ნუ თუ მე უფლება არა მაქვს **სამედიატორო სასამართლოში** გამოვიწვიო ჩემი პირადად შეურაცხმყოფელ-ცილისმწამებელი? ნუ თუ ის თვითონ, თუ სიმართლისა არ ეშინიან, უნდა გაურბოდეს ბრძოლის პატიოსან გზას?“.

ყოველ შემთხვევაში ვთხოვ ბ-ნ დიასამიძეს ახლა მაინც მიპასუხოს: თანახმაა თუ არა მიიღოს ჩემი წინადადება სამედიატორო სასამართლოს შესახებ? მოვითხოვ ამ ჩემ კითხვაზე მოკლე, გადაჭრილ პასუხს. **გ. ჟორდანია.**

**რედაქტორ-გამომცემელი**
**ნ. კურდღელაშვილი.**

# გამოსადეგი ცნობა

## მატარებელთა მიმოსვლა

(ს ა ზ ა ფ ხ უ ლ ო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ: ჩქარი მატარ.** № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 10 წ. **სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-IV კლ. ვაგ, ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

**ბათუმისაკენ: ჩქარ. მატ.** № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, საღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. 5 ს. 18 წ.

**ბორჯომისაკენ: სახ.** № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

**მცხეთაში: საგარაკო** მ ა ტ. № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **საგარ. მატ.** № 77 **, დილ. 8 ს. 45 წ.

**ჯულფისკენ: საფოსტო** № 74/75 ღამის 12 ს. 40 წ.

**ერევნისაკენ: სამგზ.** და **საბარგო მატ.** № 78/79, მე-II და მე-III კლ. ვაგონ., საღ. 7 ს. 8 წ. **სახ.** და **საბარგ. მატ.** № 109/104 I—III კლ. ვაგ. დილ. 11 ს. 28 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბაქოდან: ჩქარ. მატ.** პლაცკარტ. № 1, საღ. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-V ან მე-III კლ. ვაგ. № 107, დილ. 4 ს. 56 წ.

**ბათომიდან; ჩქარ. მატ.** პლაცკ. № 12, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, საღ. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 106, ღამ. ... ს. 40 წ.

**მცხეთიდან: საგარაკ.** № 76 a*, საღ. 8 ს. 28 წ. **საგ.** № 76 **, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

**ბორჯომიდან: სახ.** № 9/10 საღ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7/8, დილ. 7 ს. 8 წ.

**ჯულფიდან: საფ.** № 72/73, დილის 7 ს. 26 ს, **ერევნიდან საქონ.** და **სახ.** № 80/81, შუადღის 12 ს. 48 წ. **საქონ.** და **სახ.** № 110/111, ღამ. 8 ს. 33 წ.

**ქალაქის საავადმყოფოები**

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.
**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.
**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.
**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

**უფასო საექიმო დახმარება**

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

უბნები
1—2 **გ. ა. გედევანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).
8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71

**სასანიტარო ექიმები**

**უბნები:** 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).
5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).
10, 11—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).
7—8 **გ. ო. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობიონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

**გემების მიმოსვლა**

**საზაფხულო შავზღვასა და კასპიის ზღვაზე**

რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო ამხანაგობისა

**ბათომიდან გადის:**

**საფოსტო** № 2. რომელიც ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 26 აპრილს, ხუთშაბათს ღამე 2 ს. გემი ვ. კ. „კსენია“.

1 **ირგვლივ მოსიარული,** სამშაბათ ღამე 12 ს. 30 წ. ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 2 **ირგვლივ მოსიარული** ხუთშაბათს ღამის 12½ ს. პირდაპირი ბათომ-ყირიმისა, შაბათ ღამ 12½ საათზე გაუვლის სოხუმს, გაგრას, სოჩას, ტუაპსეს, ნოვოროსიისკს, ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლსა და ევპატორიას.

**სამგზავრ. გემები ყველა ნავთსადგურში შემვლელი** ორშაბათობით 12 ს. დღისით და შაბათობით დღის 12 საათზე. დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება მიიღოთ ტფილისში ველიამინოვის ქუჩაზე № 13. ტელეფონი № 11. იქვე იყიდება სამგზავრო ბილეთები და საქონელი, ბარგის ჩაბარება და დაზღვევა იქ შეიძლება.

**სანაოსნო ამხანაგობა**
**კავკაზი და „მერკური“**

**ბაქოდან გადის:**

**ასტრახნისკენ** კვირაობით, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით შუადღის 12½ ს.
**კრასნოვოდსკში** ყოველდღე საღ. 8 საათ.
**ასტრაში** ხუთშაბათობით საღამოს 6 საათ.
**ლენქორანში** ორშაბათობით საღ. 6 საათ.
**ენზელში** (პირდაპირი ჩქარი) სამშაბათობითა და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.
**კრასნოვოდსკსა, ჩიკიშლიარსა, ასტრაბადსა, მეშედესერეს** ხუთშაბათობით საღამოს 8 საათზე.
**მტკვრისაკენ** კვირაობით, სამშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკეობით საღამოს 6 საათზე.

**ბაქოში მოდის:**

**ასტრახნიდან** ყოველდღე საღ. 8 საათზე.
**კრასნოვოდსკიდან** ყოველდღე დილის ... ს. 45 წ.
**ასტარიდან** ხუთშაბათობით საღ. 6 საათ.
**ლენქორანიდან** ხუთშაბ. დილის 4 საათ.
**ენზელიდან** (პირდაპირი და ჩქარი) პარასკევობითა და ორშაბათობით დილ. 11 ს.
**მეშედერესიდან, ასტრაბადიდან, ჩიკიშლიარიდან** და **კრასნოვოდსკიდან** სამშაბათობით დილის 6 ს. 45 წ.

ყოველგვარი ცნობანი, რკინის გზის ბილეთი და პლაცკატები საქონლის გაგზავნისა თუ დაზღვევის საქმე იკითხეთ **ტფილისში** ერევნის მოედანზე № 3. „**კავკაზ ი მერკური**“ ტელ. 682.

# განცხადებანი


## საჭიროა 8—12 თუმნამდე

სანდო ვექსილისა და ფასიან გირაოს ქვეშ. შინ ვიქნები ან ადრესი დამიტოვეთ. მეჟევრის ქუჩა, № 18—თოიძე. (1.536.1)

## ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

„**606**“ — 11—12 ს. **შეზხაპუნება კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ნ. გ. ბგახაროვი:** 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საზებიო, ქალებისა და ბავშვებისა,
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საზებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** 1—2 ს. საზებიო და ქალების ავადმ.

**ს ა ღ ა მ ო თ:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნ ავასარდიანი.** (წ. 1074.88)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, ს. გაბაშვილისა. (...)

მოითხოვეთ ყველგან საუკეთესო ხარისხის

## მელნები

ამხ. „ქ ი მ ი კ ო ს ი“. ქ. ტფილისი. მალაკნის ქ. № 16. (6.524.5)

## ქართულ ენაზე ჭრა-კერვის წიგნი

თვით-მასწავლებელი 128 ნახატით, ახალი მეთოდი. ექვსი ნაწილი: ქართული, იმერული, ევროპიული, თეთრეული მანდილოსანთ და ბავშვთათვის. ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოც. **სოფიო ი. სიმონოვის მიერ.** ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მან. 50 კ. ვინც ათზე მეტს იყიდის ფოსტის გასაგზავნი არ გადახდება. წიგნის გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც.

მისამართი; Телавъ, школа кройки и шитья Соф. Іос. Симоновой. Бульварный пер., 2, соб. д. (100.—231.14)

იყიდება ლიმონადის ქარხანა

## „შ ვ ე ი ც ა რ ი ა“

მთელი თავის მოწყობილობით. რადგანაც ტფილისიდან გადავდივარ. დაწვრილებით მიმართეთ **ნაძალადევში, აფანასიევის ქ. № 3, კავთიაშვილს.** (25—402—24)

## ქალაქის საუქციონო ზალა.

(ველიამინოვის ქ.) მოძრავ ქონებას მიიღებს **გასასყიდად** და აგრეთვე **შესანახად.** მ ღ ულ ნივთებში იძლევა ხელის მოსაცვლელად 20% ი, ხოლო შენახვის ფასად აიღებს 2%-სა. დღისით 9—3 საათამდის. (25.421.20)

## დაბა სამტრედია

**ა ხ ა ლ ი ა გ უ რ ხ ა ნ ა.**

ვამზადებთ დიდ ზომის აგურებს **6 X 3 X 1½ ვერშოკ. ზომიანს.**

მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ კარგი ღირსებისა ზომიერ ფასებში. ყოველივე დაკვეთა სასწრაფოთ სრულდება.

პატივისცემით **პორფირე ჭეიშვილი.** (თ 1338 6)

## საბანკო სახლი „ლ. ვ. ლანდაუ“ და ამხ.,

## — კავკასიის სააგენტო. —

ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, № 65, ტელეფ. 11—77.

1 შინაგანი სესხის მოგებიანი ბილეთების **დაზღვევა გაბათილებისაგან, რომელიც** უნდა 1 ივლისს მოხდეს. **12 მან. 25 კ.** (5.1324.5)

## ვერა „ბ ა ლ ი ე დ ე მ ი“.

საუკეთესო ჰაერი. შეიძლება ადამიანმა თავისუფლად ამოისუნთქოს. იქვე **უკრავს ყოველ დღე ქალთა და ვაჟთაგან შემდგარი „სიმებიანი ორკესტრი“.** საუკეთესოდ მოწყობილი ბუფეტი. ადგილობრივი და საზღვარგარეთული ყოველნაირი სასმელები. სამზარეულო აზიური და ევროპიული. ვკისრულობთ სადილებისა და ვახშმების გამართვას ყოველ დღე არის „**ცოცხალი თევზი**“. დაკვეთა შეიძლება პირადად და ტელეფონით ც. ტელეფ. № 29. პატივისცემ. **კონსტანტინე ი. ბაქრაძე.**

საუკეთესო მსხვილ-მარცვლოვანი ხიზილალა!!!

## თევზის მრეწველნი ძმ. ძებველოვები,

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9. ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 712

## ყურადღება!

მშვენიერი გემოსი და სურნელოვანია მომზადების საუკეთესო საშუალების წყალობით დიდიანს უძლებს გადატან-გადმოტანას და ამიტომ ვურჩევთ საავარაკოდ და საზღვარ-გარედ მიმავალთ მის შეძენას.

აგრეთვე **ყოველ დღე მოგვდის** საკუთარ სამრეწველოებიდან **ახალ-ახალი ზუთხი, თართი** და **ლოქო.** მაღაზიაში ყოველთვის მოგვეპოვება **მოხარშული დოში, იანი, ჭიპა, გამოსული ზურგიელი:** კავკასიისა, დონისა, ორაგულისა, გვაქვს ყოველნაირი საქონელი და კონსერვები. (წ.1131.93)

## ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

**იყიდება წიგნები: ისტორია, საეკლესიო და საისტორიო მასალები:**

ჰიჰინაძე ზ., მრეწველობის წარმომადგენ. საქართველოში 30 კ.
ისტორ. ქართ. ჟურ.-გაზეთობისა 15 „
კათოლიკეთა ეკლესია საქარ.-ში 50 „
კათოლიკეთა ეკლესია ბათომში 10 „
კათოლიკეთა ეპისკოპოსის მობრძანება საქართველოში . 10 „
მესხეთ-ჯავახეთის გათათრება 10 „
სოლომონ ლეონიძე : . 10 „
საქარ. ვაჭრობა და მრეწ. ძველად 15 „
ქართ. კათოლ. სასულ. მოღვაწ. და მესხეთ-ჯავახეთის ცნობა 25 „
ქართ. კათოლიკეთა ვაჭრობა 30 „
ქართ. კათოლ. ყველა ასპარეზზე 25 „
ქართული სტამბა . . . 10 „
ქართველები სპარსეთში . . 20 „
ქართლის ცხოვრება წ. I, . 40 „
„ „ წ. II, . 1— „
„ „ წ. III, . 40 „
ცხოვრება საქართველოსი დიდი მოურავის ამბებით . . 15 „
დიდი მოურავი გიორგი სააკაძე 5 „
ხახანაშვილი ა. ბატონ-ყმობა საქართველოში . . . . 50 „
იმერეთ. მეფე სოლომონ მეორე 25 „
**იაკობ გოგებაშვილის სურათი** ბრისტოლის სქელ ქაღალდზე 50 „

ვინც ხუთს ცალზე მეტს იყიდის, დაეთმობა 20%; ვინც 25 ცალზე მეტს, დაეთმობა 25%; ვინც 50 ცალზე მეტს იყიდის, დაეთმობა 30%. შეიძლება ფასდადებითაც გაიგზავნოს.

ადრესი დეპეშისათვის: Тифлисъ грамотность. (წ. 1141.63)

## 1912 წ. მიიღება ხელის მოწერა

**დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ**

## „ნ ა კ ა დ უ ლ“-ზე

**წელიწადი მერვე.**

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

**წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:**

**24** წიგნი „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის; **12** წიგნი „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს **დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინა-ლური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.**

ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Головинскій просп. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის“ აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილის ასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან. **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში** ბ. ამბოკაძესთან და **ერევანში** კ. ფცხიშვილთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**
(წ.—1627—7ბ წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**